www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 24 სექტემბერი, 2009 წელი. №207 (2245) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

## ამერიკა გააგრძელებს მსოფლიოში დემოკრატიის მხარდაჭერას

A7



## დმანისის ახალი მუზეუმი, ანუ აღმოაჩინეთ თქვენში მეცნიერი

A7



## დაწინაურდა ზვიად სიჭინავა

A7



# არჩევნები "ოპოზიციურად"

*ოპოზიცია საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პრინციპებზე ჩამოყალიბდა. შეთანხმებას, რომელსაც ფორმალური ხასიათი არ აქვს, ხელს შვიდი პოლიტიკური სუბიექტი აწერს. მათ შორის არიან "ალიანსი საქართველოსთვის" წევრი 3 პოლიტიკური სუბიექტი - "ახალი მემარჯვენეები", "რესპუბლიკელები", "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები"; ნინო ბურჯანაძის "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო"; ირაკლი ოქრუაშვილის "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის"; ხალხის პარტია და კონსერვატორები.*

თამარ ხორბალაძე

ამ პრინციპების ხელმომწერთა ნაწილი, "ალიანსელების" სახით, გასულ კვირას ხელისუფლებასთან და საპარლამენტო ოპოზიციასთან ერთად, ერთ სამუშაო მაგიდასთან ვიხილეთ. სამუშაო ჯგუფი საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების დეტალებს ათანხმებდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ შეათანხმა. მუშაობა, როგორც ამბობენ, გრძელდება, თუმცა, წინასწარ უკვე გაკეთდა პესიმისტური განცხადებები და კომენტარები იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლებისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის ხედვების დაახლოების პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია. ამ პერსპექტივაში მეტი სიცხადის შესატანად უდავოდ საინტერესო იქნება ოპოზიციის მიერ ერთობლივი დოკუმენტის სახით ჩამოყალიბებული ხედვის გაცნობა. ეს პრინციპები, ძირითადად, იმეორებს იმ წინადადებებს, რომლებიც "ახალმა მემარჯვენეებმა" და "რესპუბლიკელებმა" გასულ თებერვალს, გაზაფხულის საპროტესტო აქციების დაწყებამდე წარმოადგინეს. ჩამონათვალი იმ "ათვლის წერტილზე" იძლევა წარმოდგენას, რომლიდანაც არასაპარლამენტო ოპოზიციამ საარჩევნო კანონმდებლობაზე დიალოგი დაიწყო. წინადადებები ხუთი ძირითადი საკითხისგან შედგება, რომელსაც თავისი ქვე-საკითხები აქვს.

პირველი **საარჩევნო სისტემაში** შესატანი ცვლილებებია. ოპოზიციური ხედვის თანახმად:

გაგრძელება A2 გვერდზე

# გვინდოდა უკეთესი, მივიღეთ უარესი

სოფიო თოდუა

*ბაზარი - ეს სიტყვა განმარტებით ლექსიკონში ასეა ახსნილი: "სურსათ-სანოვაგისა და ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილი". ამ განმარტების თანახმად, მსოლიოში ყველაზე დიდი ბაზარი თბილისს ჰქონია, რადგან დედაქალაქში ყველგან, ცენტრალური მაგისტრალებიდან დაწყებული, ქუჩა-შუკებით დამთავრებული, ასეთ ადგილებს წააწყდებით. დღეს ამას გარე ვაჭრობა ჰქვია. რადგან ვაჭრობა ნებისმიერი ქვეყნის არსებობის აუცილებელი პირობაა, ჩვენც, როგორც სწრაფი ტემპით განვითარების გზაზე მდგარმა სახელმწიფომ, ყველაზე დიდი ქალაქი ყველაზე დიდ ბაზრად ვაქციეთ.*

როცა ახლად მოსულმა ხელისუფლებამ დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ვაჭრობა აკრძალა, უკმაყოფილება, რასაკვირველია, იყო.

გაგრძელება A12 გვერდზე



24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი



## გრიგოლ ვაშაძე ნიუ-იორკში დენიელ ფრიდს შეხვდა

ამერიკული მედიის ცნობით, ნიუ-იორკში გამართული შეხვედრისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ყოფილმა მოადგილემ დენიელ ფრიდმა გუანტანამოს სამხედრო ციხის დახურვაზე და პატიმრების გარკვეული რაოდენობის საქართველოში ტრანსპორტირებაზე ისაუბრეს. ამის შესახებ ოფიციალური განცხადებები როგორც საქართველოს საგარეოსაქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ, ისე შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილმა მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში დენიელ ფრიდმა გააკეთეს. აღსანიშნავია, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში ვაშაძემ და ფრიდმა გუშინ პირისპირ შეხვედრა გამართეს.

ვაშაძის თქმით, გუანტამოს საპატიმროდან მსჯავრდებულების საქართველოში გადმოყვანის შესახებ მოლაპარაკება მხოლოდ თეორიულ დონეზე მიმდინარეობს.

სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანამდებობის დატოვების შემდეგ, დენიელ ფრიდი გუანტანამოს სამხედრო ციხის დახურვის საკითხებში აშშ-ს ადმინისტრაციის სპეციალურ წარმომადგენლად დაინიშნა.

"ჯერ ყველაფერი მოლაპარაკებების დონეზე რჩება და კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ არის. თუ საკითხი დადებითად გადაწყდა, საქმე შეეხება მსჯავრდებულთა მცირე რაოდენობას, რათა საქართველოს უსაფრთხოებას პრობლემები არ შეექმნას", - განუცხადა ფრიდმა ჟურნალისტებს. **საკუთარი ინფორმაცია**

## ირაკლი ალასანიას პარტიას კიდევ ერთი დიპლომატი შეუერთდა

ირაკლი ალასანიას პარტიას კიდევ ერთი დიპლომატი შეუერთდა. პარტია "ჩვენი საქართველო-თავისუფალ დემოკრატებს" ბელორუსიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ყოფილი ელჩი დავით ზალკალიანი შეუერთდა. როგორც "ინტერპრესნიუსს" დავით ზალკალიანმა განუცხადა, მას ამ პარტიასთან ქვეყნის განვითარების ხედვა აერთიანებს. მისივე თქმით, პარტიის წევრობა ქვეყნის სისტემური კრიზისიდან გამოყვანის საერთო ხედვამ და "თავისუფალ დემოკრატების" ფასეულობებმა განაპირობა.

დავით ზალკალიანმა ბელორუსის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობა 2008 წლის იანვრიდან დაიკავა, რომელიც მიმდინარე წლის 24 აგვისტოს დატოვა.

## ნინო ბურჯანაძე "მსოფლიო პრესის ასოციაციის" დელეგაციას შეხვდა

დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერს, ნინო ბურჯანაძესა და "მსოფლიო პრესის ასოციაციის" დელეგაციას შორის გაიმართა შეხვედრა, რომელზეც სტუმრებმა ვრცლად ისაუბრეს მედიის თავისუფლების მნიშვნელობაზე. როგორც "დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა აღნიშნა, პრეზიდენტის მიერ "დემოკრატიის ახალი ტალღის" დაწყების შესახებ არაერთხელ გაკეთებული განცხადების მიუხედავად, ქვეყანაში სულ უფრო მყარდება ძალადობრივი რეჟიმი, რომლის ნათელი მაგალითიც პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლის ის მეთოდებია, რომელსაც ხელისუფლება იყენებს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნა საქართველოში მედიის თავისუფლების ხარისხის მკვეთრ ვარდნას ადასტურებს.

ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლება მედიის საკუთარი გავლენის ქვეშ სრულად მოაქცევას ცდილობს და სურვილი აქვს მაქსიმალურად აკონტროლოს. აღნიშნულის დასტურად ისიც კმარა, რომ ტელეკომპანია "იმედის" ხელმძღვანელად ხელისუფლებამ საკუთარი გუნდის წევრი, ყოფილი მინისტრი, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორად, ასევე ხელისუფლების დირექტივების უსიტყვო შემსრულებელი დანიშნა. ადგილობრივი ხელისუფლება სერიოზულ ზეწოლას ახორციელებს რეგიონულ მედიაზე, რაც ისედაც მწირი ინფორმაციის მქონე რეგიონის მოსახლეობას ფაქტობრივად, სრულ ინფორმაციულ ვაკუუმს უქმნის, - აღნიშნა პარტიის ლიდერმა. შეხვედრაზე ასევე, ყურადღება გაამახვილეს იმ პრობლემებზე, რომელიც ბეჭდურ მედიას გავრცელების თვალსაზრისით აქვს შექმნილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ტალიავინის კომისია რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ დასკვნას სექტემბრის ბოლოს ბრიუსელში მინისტრთა საბჭოს გადასცემს

რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების შემსწავლელი საერთაშორისო კომისია დასკვნას სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოს ბრიუსელში მინისტრთა საბჭოს გადასცემს. როგორც ტალიავინის კომისიის წარმომადგენელი აცხადებს, დასკვნის გამოქვეყნების საკითხი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, ის მიმდინარე თვის ბოლოს ბრიუსელში მინისტრთა საბჭოს გადაეცემა, რომელიც გადაწყვეტს, როგორ გამოიყენებს დოკუმენტს და საერთოდ, გამოაქვეყნებს თუ არა მას. ამასთან, ტალიავინის კომისია კატეგორიულად უარყოფს უცხოური მედიით გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს დასკვნა უკვე მზად არის და კომისია გასული წლის ხუთდღიანი ომის დაწყებაზე პასუხისმგებლობას თბილისს აკისრებს. **საკუთარი ინფორმაცია**

# არჩევნები "ოპოზიციურად"

პირველი გვერდიდან

1. პარლამენტი აირჩევა პროპორციული წესით მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში. საარჩევნო ოლქებში მანდატების რაოდენობა განისაზღვრება ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად;

2. თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო აირჩევა მრავალმანდატიან ოლქებში პროპორციული სისტემით;

3. რეგიონებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო აირჩევა მრავალმანდატიან ოლქებში მაჟორიტარული სისტემით;

**4.** თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის და რუსთავის მერები აირჩევა პირდაპირი კენჭისყრის გზით. გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც დააგროვებს 50% + 1 ხმას;

**საარჩევნო ადმინისტრაციების ფორმირების წესზე** საუბრისას ოპოზიცია უკვე ნაცნობ პრინციპს სთავაზობს ხელისუფლებას: კვალიფიციური სუბიექტები (პარტიები, რომლებიც დაფინანსებას იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან) დანიშნავენ ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თითო წევრს;

ცალკე ქვეთავი ეთმობა **ამომრჩეველთა სიებს.** ოპოზიციის წინადადებით:

1. ამომრჩეველთა ერთიანი სიის შედგენას უზრუნველყოფენ საუბნო საარჩევნო კომისიები - ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე (მ.შ: პირადი ნომრის, რეგისტრაციის მისამართის და ბიომეტრიული მონაცემების მიხედვით). ცენტრალურ და საოლქო კომისიებს უფლება აქვთ განმეორების შემთხვევაში ამოიღონ ამომრჩეველი სიიდან;

2. სპეციალური უბნები გაიხსნება მხოლოდ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის. სპეციალურ სიაში არ შევლენ შსს მოხელეები. გადასატანი ყუთის სია არ შეიძლება აღემატებოდეს კონკრეტულ უბანზე ამომრჩეველთა რაოდენობის 2%-ს. სპეციალურ სიაში ამომრჩეველი შევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერთიან სიაში გაკეთდება შესაბამისი აღნიშვნა;

**კენჭისყრისა და შეჯამების ეტაპზე** ოპოზიციას შემდეგი შეთავაზებები აქვს:

1. ყველა საარჩევნო უბანი აღჭურვილ იქნას ციფრული ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით. ყველა საარჩევნო მასალა (მ.შ: ვიდეო თვალის ჩანაწერები, სამაგიდო სიები და ა. შ.) ხელმისაწვდომია დაინტერესებული სუბიექტებისთვის დაუყოვნებლივ. ჩანაწერებს და მასალებს აქვს მტკიცებულებითი ძალა საარჩევნო დავების განხილვის დროს;

2. საარჩევნო ყუთის გახსნამდე შედგება სპეციალური ოქმი ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ, რომელიც დაუყონებლივ გადაეცემა დაინტერესებულ სუბიექტებს და საოლქო საარჩევნო კომისიას. სამაგიდო სიების ასლი გამოიკვრება საარჩევნო უბანში ხმის დათვლის დაწყებამდე;

3. საუბნო კომისიის ბეჭედს, კენჭისყრის პროცედურის დაწყებამდე და პროცედურის შემდეგ უკეთდება ნაკვეთურები, მისი ყალბი ანალოგიის გამოსარიცხად;

4. არჩევნების დროს ბათილად ცნობილი ბიულეტენები ჩაითვლება არჩევნებში მონაწილეთა საერთო რაოდენობაში.

და ბოლოს - **საარჩევნო დავები:**

ოპოზიციური ხედვის თანახმად, საარჩევნო პერიოდში საარჩევნო დავების განხილვისათვის იქმნება სპეციალური არბიტრაჟი. არბიტრაჟი შედგება 21 წევრისაგან: 14 წევრს (თითი-თითო) ნიშნავენ საბიუჯეტო დაფინანსების მქონე კვალიფიციური სუბიექტები, 3 წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო, ხოლო პრეზიდენტი და პარლამენტი - 2-2 წევრს. არბიტრაჟის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ არბიტრები ხმათა 2/3-ით. არბიტრს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის, ნოტარიუსის ან საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის გამოცდა (ტესტირება).

# კახეთში სტიქიით მიყენებულ ზარალს ითვლიან

მარი ახსიაშვილი

ორდღიანი წვიმის შემდეგ გუშინ კახეთში გამოიდარა. რეგიონში სტიქიით მიყენებული ზარალის დათვლა სწორედ გუშინ დილიდან დაიწყო.

სტიქიამ განსაკუთრებით ყვარლის რაიონი დააზარალა, სადაც ადიდებულმა მდინარეებმა საცხოვრებელი სახლები, საკარმიდამო ნაკვეთები და ვენახები დატბორა, დაიხოცა შინაური ფრინველი, წვიმამ ათამდე სოფელში სასმელი წყლის სათაო ნაგებობები დაანგრია. შეწყვეტილია მოძრაობა აფენი-ლაგოდეხის საავტომობილო გზაზე, რადგან ადიდებულმა მდინარემ აღნიშნული გზის ბაისუბნის მონაკვეთზე ხიდი ჩაანგრია.

კახეთის გუბერნატორის მოადგილის გიორგი სიბაშვილის განცხადებით, სამხარეო ადმინისტრაციაში შეიქმნა ზარალის დამთვლელი სპეციალური კომისია.

გუშინ ყვარელს რეგიონალური განვითარების მინისტრი დავით ტყეშელაშვილი ეწვია. მინისტრი, კახეთის გუბერნატორი და ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ყვარლის რაიონის იმ სოფლებში იმყოფებოდნენ, რომელიც წვიმის შედეგად დაზარალდა.

**"ზარალის დასათვლელად სპეციალური კომისია მუშაობს. ადგილობრივ ხელისუფლებას ზარალის შესახებ ზუსტი მონაცემების რაც შეიძლება სწრაფად, რამდენიმე დღეში წარმოდგენა დაევალა. ამის შემდეგ, სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაგებობების აღსადგენად თანხები ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა", - განაცხადა რეგიონული განვითარების მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა.**

მოსახლეობის ინტერესის მიუხედავად, ხელისუფლების წარმომადგენლებს არ დაუკონკრეტებიათ, მიიღებენ თუ არა სტიქიის შედეგად დაზარალებულები რაიმე სახის დახმარებას.

**ძლიერი წვიმების შედეგად კახეთში მდინარე ალაზანიც ადიდდა. მდინარის კალაპოტიდან წყალი გადავარდა და ნაკვეთებში მიედინება. წყალმა გუშინ, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში სეფიაშვილების საცხოვრებელი სახლის ნაწილი დაანგრია.**

**როგორც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, გია გოზალაშვილმა განაცხადა, შენობა მთლიანად წყალში იყო მოქცეული. გამგებლის თქმით, სახლში დარჩენილი ადამიანები თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსულმა სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა ვერტმფრენით გამოიყვანეს.** სეფიაშვილის საქონელიც ვერტმფრენით გადაიყვანეს..

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი წვერავას განცხადებით, ოჯახს შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან.

ძლიერი წვიმის გამო საქართველოს სხვა რეგიონებიც დაზარალდა. სამცხე-ჯავახეთში წვიმამ და სეტყვამ საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები და სარდაფები დატბორა. მოსახლეობა ზამთრის მარაგის გარეშე დარჩა. წვიმამ სახლებში სახურავებიდან შეაღწია და ადგილობრივებს საყოფაცხოვრებო ტექნიკაც დაუზიანა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი სტიქიამ ბოლო თვეების განმავლობაში რამდენჯერმე დააზარალა. მარტო ახალციხის მუნიციპალიტეტში ზარალის ოდენობა მილიონ ლარს აღწევს.

სინოპტიკოსები საქართველოში გამოდარებას დღეიდან ელიან.

# მენინგიტით მეათე კლასელი მოსწავლე გარდაიცვალა

დიდ დიღომში, პეტრიწის ქუჩაზე მდებარე 186-ე სკოლაში წვეთოვანი მენინგიტით მე-10 კლასელი მოსწავლე დავით გაბაიძე გარდაიცვალა. შემთხვევა გუშინ, დღის მეორე ნახევარში დაფიქსირდა. მოგვიანებით დირექციისთვის ბავშვის მშობლებისგან ცნობილი გახდა, რომ ბავშვი მაღალი სიცხის გამო ო. ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს. იგი კლინიკაში გადაყვანიდან ერთ დღეში გარდაიცვალა.

მომხდართან დაკავშირებით სკოლის დირექცია ვაკე-საბურთალოს ეპიდემიოლოგიურ სამსახურს დაუკავშირდა. როგორც გამოკვლევამ აჩვენა დაფიქსირებული დაავადება ბაქტერიოლოგიური ფორმის იყო, თუმცა არა მენინგოკოკური. სკოლაში დაავადების გავრცელების არანაირი საფრთხე არ არსებობს, მაგრამ იმ მიზნით, რომ სკოლის მოსწავლეებსა და მშობლებში პანიკის საფუძველი მოისპოს სადეზინფექციო სამუშაოები მაინც ჩატარდება.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის პაატა იმნაძის განცახდებით, საქართველოში წვეთოვანი გზით გადამდები მენინგიტის გავრცელების საშიშროება არ არსებობს. მისივე თქმით, "მენინგიტის საწყისი ნიშნები მაღალი სიცხით, თავის, სახსრების და კისრის ტკივილებით ხასიათდება და აღნიშნული სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში მშობლებმა შვილები სასწრაფოდ უნდა წაიყვანონ ექიმთან, რაც დაავადების გართულებას და ლეტალურ შედეგებს გამორიცხავს." დროული სამედიცინო ჩარევით მენინგიტის მკურნალობა ანტიბიოტიკებით არის შესაძლებელი.

გასული წლების სტატისტიკით, ყოველ წელს საქართველოში მენინგიტით საშუალოდ 40 ადამიანი ავადდება. მიმდინარე წელს წვეთოვანი მენინგიტით 19 ადამიანი დაავადდა, მათ შორის 6 შემთხვევა ლეტალურად დასრულდა.

თბილისის მერი გიგი უგულავა, ვაკე-საბურთალოს გამგებელ დათო გელაშვილთან ერთად მივიდა 186-ე სკოლაში. გარდაცვლილის ოჯახს ქალაქის მერი დახმარებას დაჰპირდა და განაცხადა, რომ მზად არიან სწრაფი რეაგირებისთვის შესაბამისი მედიკამენტები შეიძინონ, რათა ეპიდემიის გაჩენის შემთხვევაში მისი აღკვეთა სწრაფად მოხერხდეს.

186-ე საჯარო სკოლაში ჩატარებული სადეზინფექციო სამუშაოების შემდეგ, სასწავლო პროცესი დღეიდან განახლდება.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# პრეზიდენტის გამოსვლის მოლოდინში

*გაერო-ს სათაო ოფისში საერთო პოლიტიკური დისკუსია 30 სექტემბრამდე გაგრძელდება. გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან მსოფლიო თანამეგობრობას მიმართავენ პრეზიდენტები, მონარქები, პრემიერ-მინისტრები და მათთან ერთად - სამი ვიცე-პრეზიდენტი, რვა ვიცე-პრემიერი და 55 საგარეო საქმეთა მინისტრი. ამავე დროს, ნიუ-იორკში დღეს სიტყვით გამოვა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.*

გუშინ გაერო-ს 64-ე გენერალურ ასამბლეაზე, თბილისის დროით 17:00 საათზე, დაიწყო სახელმწიფოების ლიდერთა გამოსვლები. გენერალურ ასამბლეას პირველმა მიმართა ბრაზილიის პრეზიდენტმა ლუის ინასიო ლულა და სილვამ, მას აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და ლიბიის ლიდერის მოამერ კადაფის გამოსვლები მოჰყვა. შემდეგ კი მსოფლიოში ერთ ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტრიბუნაზე ავიდნენ თურქმენეთის, საფრანგეთის, ტაჯიკეთის, რუსეთის, ირანისა და უკრაინის პრეზიდენტები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე.

საქართველოს პრეზიდენტი კი სესიაზე სიტყვით გამოსვლამდე ერთი დღით ადრე, გენასამბლეის ფარგლებში, როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ მოლაპარაკებებს მართავდა. მიხეილ სააკაშვილი შეხვდა თურქმენეთის, ფინეთის და ყატარის ლიდერებს. ასევე საქართველოს პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი ესაუბრნენ ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანას. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე შეხვდა კოლეგებს ყაზახეთიდან, სლოვენიიდან და სლოვაკეთიდან.

პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, საქართველოს დელეგაცია ნიუ-იორკში, გენასამბლეის სესიის ფარგლებში, კვლავ განაგრძობს შეხვედრებს. კერძოდ, გრიგოლ ვაშაძეს სუამი-ს მინისტერიალის ფარგლებში დაგეგმილი აქვს შეხვედრები უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ ვლადიმერ ხანდოგთან, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთ ელმარ მამედიაროვთან და გაერო-ში მოლდოვას მუდმივ წარმომადგენელ ალექსანდრე კუჟბესთან. ამავე დროს, საქართველოში დაბრუნებამდე გრიგოლ ვაშაძე მოლაპარაკებებს გამართავს მაკედონიის და ავსტრალიის საგარეო უწყებების ხელმძღვანელებთან.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ნატო-ს და აშშ-ს პოზიციები

დათო გამისონია

*საქართველოს პრეზიდენტი პირველად შეხვდა ნატო-ს გენერალურ მდივან ანდრეს ფოგ რასმუსენს. მოლაპარაკებები ნიუ-იორკში 40 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. მხარეებმა საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების გარდა, ქვეყნის შიდა ვითარებაც განიხილეს. ამავე დროს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვდა დენიელ ფრიდს.*

ნატო-ს გენერალური მდივანი პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრით კმაყოფილი იყო. **"საქართველოს პრეზიდენტთან ძალიან კონსტრუქციული შეხვედრა მქონდა. ვისაუბრეთ საქართველოს და ნატო-ს შორის ურთიერთობის გაღრმავების აუცილებლობაზე,"** - განაცხადა რასმუსენმა. ამ ეტაპზე საქართველოს ალიანსთან თანამშრომლობა მას ნატო - საქართველოს კომისიის ფარგლებში ესახება. მან იმედი გამოთქვა, რომ ამ თანამდებობაზე მისი მუშაობის პერიოდში, ორმხრივ ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება. თუმცა, მისი თქმით, ალიანსში საქართველოს გაწევრიანების კონკრეტული მექანიზმების განხილვა ჯერ ადრეა. **"საქართველო ყოველწლიურად წარმოადგენს პროგრამას, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი სამხედრო და სხვა სფეროებში აუცილებელი რეფორმები. ეს ყველაფერი მომავალი წევრობის გზაზე აუცილებელი ნაბიჯებია,"** - განაცხადა რასმუსენმა. ამასთანავე, რასმუსენმა სააკაშვილთან პირად საუბარში აღნიშნა, რომ 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება ისევ ძალაში რჩება, ამიტომ საქართველო და უკრაინა აუცილებლად გახდებიან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები, თუკი ისინი საჭირო კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ. ნატო-ში საქართველოს ელჩმა გრიგოლ მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ **"რასმუსენის და სააკაშვილის შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ითქვა იმ გადაწყვეტილების პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ბუქარესტის სამიტზე მიიღეს. ამ ეტაპზე საჭირო არის იმ ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებიც ჩვენ გაგვაჩნია, კერძოდ, ნატო-საქართველოს კომისია."**

პოლიტოლოგ ანდრო ბარნოვის აზრით, **"რასმუსენის განცხადება ცხადყოფს, რომ რუსეთის კაპრიზების გამო ნატო არ იცვლის პოზიციას".** რაც შეეხება საკუთვრივ ნატო-სთან საქართველოს დაახლოების გზებს, ბარნოვმა "24 საათს" განუცხადა, რომ ნატო-საქართველოს კომისია დღეს ქვეყნისთვის არის ერთადერთი აქტიური ფორმატი და ამის გამო მისი მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია.

ნატო-ს გენერალურ მდივანს, პრეზიდენტთან ერთად, შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. გარდა ამისა, ვაშაძე ნიუ-იორკში სამშაბათს ესაუბრა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ყოფილ მოადგილეს ევროპისა და ევრაზიის საკითხებში დენიელ ფრიდს. ის ამჟამად გუანტანამოს ყურეში განთავსებულ სამხედრო ბაზაზე არსებული საპყრობილის დახურვის საკითხებში აშშ-ს სპეციალური წარმომადგენელია. შეხვედრის შემდეგ დენიელ ფრიდმა განაცხადა, რომ **"გუანტანამოს ბანაკის პატიმრების საქართველოში შესაძლო გადმოყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში შტატებს საქართველოს, როგორც მეგობარი ქვეყნის, იმედი აქვს".** თუმცა, ფრიდის თქმით, ნებისმიერ შემთხვევაში, აშშ ისეთ გადაწყვეტილებას არასოდეს მიიღებს, რომელიც საქართველოს უსაფრთხოებას საფრთხეს შეუქმნის. ხოლო გრიგოლ ვაშაძემ განმარტა, რომ გუანტანამოდან მსჯავრდებულთა საქართველოში გადმოყვანის შესახებ მოლაპარაკება მხოლოდ თეორიულ დონეზე მიმდინარეობს. მინისტრის თქმით, გარდა ამისა, დენიელ ფრიდთან შეხვედრაზე, გაერო-ს, ევროკავშირის და ეუთო-ს ფორმატით საქართველოს კრიზისის საკითხებზე მიმდინარე მოლაპარაკებები განიხილეს. **"ვლაპარაკობდით ჟენევაზე იმიტომ, რომ ჟენევის შეხვედრები როდესაც დაიწყო, მეც და ბატონი ფრიდიც დელეგაციების ხელმძღვანელები ვიყავით. ჩვენ განვიხილეთ ბოლო რაუნდი, როდესაც რუსეთმა უარი თქვა ძალის არგამოყენების შესახებ თავმჯდომარეების მიერ მომზადებულ დოკუმენტზე,"** - განაცხადა ვაშაძემ.

# საქართველო საერთაშორისო საზღვაო სასამართლოში ჩივილს გეგმავს

*საზღვაო აკვატორიის აფხაზეთის მონაკვეთზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველომ, შესაძლოა, სარჩელი ქალაქ ჰამბურგში არსებულ საერთაშორისო საზღვაო სასამართლოში შეიტანოს. ამის შესახებ გუშინ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე ითქვა. სხდომას, რომლის ნაწილიც დახურულ რეჟიმში წარიმართა, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.*

თამარ ივანიძე

საგარეო საქმეთა სამინისტრომ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მოამზადა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, სადაც აღწერილია აფხაზეთში საქართველოს მთავრობის გვერდის ავლით გემების მიმოსვლის ფაქტები, გაკეთებულია ამ ფაქტებზე სამართლებრივი შეფასება და აღწერილია, თუ რა გზებით შეიძლება მოხდეს ასეთი შემთხვევების თავიდან აცილება. ამასთან მომზადებულია შესაბამისი დიპლომატიური ცირკულარიც, რომელიც დიპლომატიურ მისიებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაეგზავნება. - ამის შესახებ ინფორმაცია სხდომაზე აღმასრულებელი ხელისუფლების წრამომადგენლ;ება წარმოადგინეს.

როგორც საგარეო უწყების წარმომადგენელმა ირაკლი გივიაშვილმა განაცხადა, ქალაქ ჰამბურგში საერთაშორისო საზღვაო სასამართლო მოქმედებს, სადაც სწორედ აფხაზეთის საზღვაო მონაკვეთზე არსებულ ფაქტებთან დაკავშირებით შესაძლოა, სარჩელის შეტანა მოხდეს. მისი თქმით, აღნიშნული საკითხი განხილვის სტადიაშია.

შეგახსენებთ, რომ სკანდალი საზღვაო აკვატორიის ირგვლივ საქართველოსა და რუსეთს შორის 2009 წლის აგვისტოდან გამწვავდა.

საქართველოს სანაპირო დაცვამ წელს აფხაზეთისკენ და აფხაზეთიდან მომავალი ოთხი სატვირთო გემი დააკავა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის დარღვევის საფუძვლით. ეს კანონი კრძალავს სეპარატისტულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რაიმე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას ქართული მხარის თანხმობის გარეშე.

28 აგვისტოს რუსეთის საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ევგენი ინჩინმა და ასევე სეპარატისტული აფხაზეთის უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო დანაყოფის უფროსმა ზურაბ მარგანიამ გააკეთეს განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთში მიმავალ გემებს რუსი და აფხაზი მესაზღვრეები ერთობლივად დაიცავენ. ინჩინმა განაცხადა, რომ გემების "ხელშეუხებლობა" რუსეთის კატარღების მიერ "უახლოეს ხანებში" იქნებოდა უზრუნველყოფილი.

ამ განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაქცია მოჰყვა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა 1 სექტემბერს, რომ რუსეთის შესაძლო ქმედებები ე.წ. აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულია როგორც საქართველოს ნაწილი, საზღვაო სამართლის 1982 წლის კონვენციის დარღვევა.

საქართველოს საგარეო უწყების ცნობით, რუსეთის მიერ ზემოთ აღნიშნული ქმედების განხორციელების შემთხვევაში, "საქართველოს შეუძლია გამოიყენოს კონვენციით მინიჭებული უფლებები და მიიღოს ზომები ტერიტორიული ზღვის მიმდებარე ზონაში, რათა აღკვეთოს რუსეთის მხრიდან ტერიტორიულ ზღვაში საბაჟო, საემიგრაციო და სხვა კანონების ან წესების დარღვევა და დასაჯოს ეს ქმედება".

პასუხად აფხაზეთის ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა 2 სექტემბერს, რომ მან გასცა ბრძანება განადგურდეს ყველა ის ქართული გემი, რომელიც "აფხაზეთის საზღვარს დაარღვევს" და აღნიშნა, რომ ამას აფხაზური ძალები დამოუკიდებლად გააკეთებენ, რითაც უარყო ადრე გაცხადებული აფხაზურ-რუსული ერთობლივი მოქმედებების გეგმები.

თუმცა უკვე 3 სექტემბერს რუსეთი ისევ ღიად გამოდის დაპირისპირების ველზე.

საქართველოს მიერ აფხაზეთში მიმავალი გემების დაკავებამ შესაძლოა ახალი შეიარაღებული ინციდენტები განაპირობოს, განაცხადა 3 სექტემბერს რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ.

მისი თქმით, ამ ქმედებებით ქართული მხარე არღვევს საზღვაო სამართლის 1982 წლის კონვენციას.

მან ასევე განაცხადა, რომ თბილისმა შარშანდელი ომის შემდეგ "უარი არ თქვა თავის მილიტარისტულ გეგმებზე და ტერიტორიული საკითხების ძალისმიერად მოგვარების გათვლებზე. მთელი პასუხისმგებლობა შესაძლო გაუთვალისწინებელ შედეგებზე ამასთან დაკავშირებით სრულად ეკისრება ქართულ მხარეს,"- აღნიშნა ნესტერენკომ.

სიტუაციის გამწვავების გამო ამ თემაზე შეშფოთება გამოთქვა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისაიმ და საკითხი 8 სექტემბრის ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების შეხვედრის დღის წესრიგშიც შეიტანა. თუმცა, ცხადია, ამ თემაზე მხარეებს შორის შეთანხმება არ არის მიღწეული და დაპირისპირების საფრთხე კვლავ შენარჩუნებულია.

## ამერიკის პროფკავშირები საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას დაეხმარება

ამერიკის პროფკავშირები საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას დაეხმარება. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის ირაკლი პეტრიაშვილის განცხადებით, ამ საკითხზე საუბარი აშშ-ში მისი ვიზიტის დროს იყო, სადაც ამერიკის პროფკავშირების კონგრესში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაზე სიტყვით ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა გამოვიდა. კონგრესის ფარგლებში ირაკლი პეტრიაშვილმა ასევე შეხვედრები გამართა სენატორ ჯონ კერის ადმინისტრაციის საერთაშორისო წარმომადგენელთან და წარმომადგენელთან სენატში ჯეისონ ბრუდერთან; ამერიკის სოლიდარობის ცენტრის დირექტორ ენდი ლარსონთან; ამერიკის პროფკავშირების წარმომადგენელთან ევროპაში და საერთაშორისო ორგანიზაციებში ჯერი ზელ ჰოფერთან; ამერიკის სენატორებთან და სხვა ოფიციალურ პირებთან. პეტრიაშვილი აღნიშნავს, რომ, შეხვედრებზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ამერიკის მხარდაჭერას საქართველოსადმი და საქართველოს პროფკავშირებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას. **ინტერპრესნიუსი**

## ხუცუბნის საჯარო სკოლის მეორე სართულის ფანჯრიდან სამი მოსწავლე გადმოვარდა

ხუცუბნის საჯარო სკოლის მე-2 სართულის ფანჯრიდან სამი მოსწავლე ჩამოვარდა. პედაგოგის და თვითმხილველთა განმარტებით, ბავშვები ფანჯრის რაფაზე ისხდნენ, როდესაც ერთ-ერთი მათგანი შემთხვევით გადაიხარა და გადმოვარდნისას მის გვერდზე მჯდომი 2 თანაკლასელი გადაიყოლა. სამივე დაშავებული მე-2 კლასის მოსწავლეები არიან. ხატია ემირიძე და ლინდა ოქროპირიძე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით ბავშვთა საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში მოათავსეს, ემირიძეს ყბის მოტეხილობა, ხოლო ოქროპირიძეს ტვინის შერყევა დაუდგინდა. ემირიძე რეანომობილით თბილისში, იაშვილის კლინიკაში გადაიყვანეს, ხოლო ოქროპირიძე ბავშვთა საავადმყოფოში დარჩა. რაც შეეხება მესამე დაშავებუულს, თათია ბეჟანიძეს სამედიცინო შემოწმება ქობულეთის საავადმყოფოში ჩაუტარდა და ახლა უკვე საკუთარ სახლში იმყოფება. ექიმების განცხადებით, სამივე ბავშვის მდგომარეობა სტაბილურია. **საკუთარი ინფორმაცია**

## ავსტრიაში საქართველოს მოქალაქეები დააკავეს

საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით ავსტრიაში საქართველოს 16 მოქალაქე დააკავეს. ავსტრიაში საქართველოს კონსულის, ანა კიკვიძის ინფორმაციით, ორშაბათს საქართველოს ათი მოქალაქე გადაიყვანეს წინასწარი დაკავების იზოლატორში, სადაც მათ თავშესაფარი მოითხოვეს. მათგან ორი ქალი ლტოლვილთა ბანაკში გადაიყვანეს. სამშაბათს კი საქართველოს კიდევ ექვსი მოქალაქე იქნა დაკავებული, რომლებიც ასევე თავშესაფარს ითხოვენ. მათ მიმართ ავსტრიის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები განხორციელდება. წინასწარი ინფორმაციით, 16 დაკავებულიდან სავარაუდოდ, 14-ის დეპორტაცია მოხდება, დანარჩენი ორი კი ჯერჯერობით ლტოლვილთა თავშესაფარში დარჩება. **პრაიმ-ნიუსი**

## საფონდო ბირჟაზე "სახალხო ბანკის" აქციების ფასი გაიზარდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე "სახალხო ბანკის" აქციების ფასი გაიზარდა. ვაჭრობაზე ბანკის 1 აქციის მინიმალური ფასი 10 თეთრით განისაზღვრა, მაქსიმალური - 12 თეთრით, ხოლო საშუალო შეწონილი - 11,1 თეთრით. საფონდო ბირჟაზე დღეს "სახალხო ბანკის" 381 532 აქცია გაიყიდა, გაყიდული აქციების ჯამურმა ღირებულებამ კი 42 273 ლარი შეადგინა. აქციებზე სულ 56 გარიგება დაიდო.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე ამ თვისთვის "სახალხო ბანკის" რეკორდული რაოდენობის - 597 606 აქცია 21 სექტემბრის ვაჭრობაზე გაიყიდა. გაყიდული აქციების ჯამურმა ღირებულებამ მაშინ 60 741 ლარი შეადგინა.

"სახალხო ბანკის" 91.218 პროცენტი ახლად დაარსებულმა საინვესტიციო ფონდმა "Liberty Investment"-მა 5 მლნ აშშ დოლარად შეიძინა. ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძეა. აღნიშნული ფონდი გურგენიძემ რუმინელ ბიზნესმენ დინუ პატრიჩიუსთან ერთად ჩამოაყალიბა, შესაბამისად ისინი ფონდის და "სახალხო ბანკის" მთავარი აქციონერები არიან. **ინტერპრესნიუსი**

## ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოსა და კომპანია "მარექსინს" შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს

საქართველოს ენეგეტიკის სამინისტროს ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოსა და ჰოლანდიურ კომპანია "მარექსინს" შორის პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების გაფორმებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, მოლაპარაკებების პროცესში კომპანია ქართულ მხარეს საკუთარ პირობებს წარუდგენს.

საქართველოს ღრმა ზღვის სალიცენზიო ბლოკზე ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად ჰოლანდიურმა კომპანია "მარექსინმა" სააგენტოში განაცხადი აგვისტოში შეიტანა და ლიცენზიაში 1,5 მლნ დოლარის გადახდის მზადყოფნა გამოთქვა. საერთაშორისო ტენდერში ნავთობისა და გაზის რესურსების ეროვნულმა სააგენტომ 2009 წლის 8 ივლისს გამოაცხადა. **ინტერპრესნიუსი**

## ეკონომიკური განვითარების სამინისტროში სტრუქტურული რეორგანიზაცია იწყება

ეკონომიკის სამინისტროში სტრუქტურული რეორგანიზაცია დაიწყო, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე დეპარტამენტის გაუქმებაც იგეგმება. ეკონომიკური განვითარების პირველი მოადგილის გრიგოლ გობეჯიშვილს განცხადებით, რეორგანიზაცია სულ ეხლახანს დაიწყო და ის დაახლოებით ერთ თვეში დასრულდება. თუმცა რომელი დეპარტამენტი "შეეწირება" რეორგანზაციას გობეჯიშვილი არ ასახელებს. ეკონომიკის სამინისტროში ამ დროსათვის 14 დეპარტამენტია, რომეთაგან ორი სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგისა და ექსპორტის ხელშეწყობის დეპარტამენტი 2008 წლის დეკემბერში ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ლაშა ჟვანია ინიციატივით შეიქნა. არაოფიციალური ინფორმაციით გაუქმება სწორედ ამ ახალ დეპარტამენტებს ემუქრებათ, რომელთა ფუნქციებიც სხვა მონათესავე დეპარტამენტებზე გადანაწლდება.

## აუქციონიდან ბიუჯეტში შესულმა თანხამ 54 ათას 941 ლარი შეადგინა

დღეს, 23 სექტემბერს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით გამართულ აუქციონზე გამოტანილი 8 ობიექტიდან 6 ობიექტის ლიცენზია გაიყიდა, 2 ობიექტზე სამინისტროში განაცხადი არ შემოსულა. აუქციონზე გაიყიდა შემდეგი ობიექტების ლიცენზიები: ახალქალაქი, სოფ. მოდეგას ტერიტორიაზე "მოდეგას" ვულკანური წიდის საბადო. გასაყიდი ფასი 14 641 ლ. შეიძინა შპს "სამშენებლო კომპანია - ჯანმრთელი სახლი"-მ; ყაზბეგი, სოფ. გველეთის ტერიტორიაზე "დევდორაკის" დიაბაზის (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება. გასაყიდი ფასი 11 000 ლ. შეიძინა ფიზიკურმა პირმა; თიანეთი, სოფ. ევჟენტის ტერიტორიაზე "ევჟენტის" კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის გამოვლინება. გასაყიდი ფასი 8 193 ლ. შეიძინა ინდ. მეწარმემ; ზუგდიდი, სოფ. დარჩელის ტერიტორიაზე, მდ. ჯუმზე "ჯუმის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება. გაასყიდი ფასი 2 257 ლ. შეიძინა ინდ. მეწარმემ; წალკა, სოფ. კუშის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ქციაზე ქვიშა, ხრეშის საბადო. გასაყიდი ფასი 13 717 ლ. შეიძინა ინდ. მეწარმემ; ახალციხე, დაბა ვალეს ტერიტორიაზე, მდ. ფოცხოვზე "ვალეს" ქვისა, ხრეშის საბადო. გასაყიდი ფასი 5 133 ლ. შეიძინა ინდ. მეწარმემ.

## ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია ოქტომბრიდან იწყება

ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია იწყება. ტენდერში სულ 10 კომპანია მონაწილეობს, რომელთაგან გამარჯვებული ერთ კვირაში გამოვლინდება. 27-კილომეტრიანი საგზაო მონაკვეთი თბილისიდან თელავამდე გზას საგრძნობლად შეამცირებს. გზის მშენებლობაზე ასობით ადამიანის დასაქმება იგეგმება.

## ბათუმში "Embawood"-ის ახალი მაღაზია იხსნება

25 სექტემბერს, 14:00 საათზე, ბათუმში, ავეჯის მწარმოებელი კომპანია "Embawood"-ის ახალი მაღაზია გაიხსნება. (მისამართი: ქ.ბათუმი, ლერმონტოვის N57). მაღაზიას გახსნის კომპანიის წარმომადგენელი და პარტნიორი - მეჰმედ შექერი. ღონისძიებას დაესწრებიან: "Embawood"-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი - სალეხ მამმადოვი, დასავლეთ საქართველოს რეგიონალური მენეჯერი - დავით ჭაბაშვილი, ბათუმის მერი - რობერტ ჩხაიძე და აჭარის მთავრობის თავჯდომარე - ლევან ვარშალომიძე.

"Embawood"-ის, ახალ მაღაზიაში, რომელიც 500 კვ.მ ტერიტორიაზეა განთავსებული, წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი წარმოების საოჯახო და რბილი ავეჯი, მათ შორის რამდენიმე ახალი მოდელი. აზერბაიჯანული კომპანია "Embawood"-ი 14 წელია რაც ფუნქციონირებს. საქართველოს ბაზარზე ავეჯის რეალიზაციას 2003 წლიდან ახორციელბს. ავეჯის წარმოება 2006 წელს საქართველოშიც დაიწყო. მიმდინარე წელს კომპანიამ თბილისში პირველი მაღაზია გახსნა.

"Embawood"-ში წარმოებული ავეჯი ეკონომ-კლასისაა და მასობრივ მომხმარებელზეა გათვლილი, ფასი 500-დან 2000 ლარამდე მერყეობს. კომპანია აწარმოებს საოჯახო, რბილ და საოფისე ავეჯს. ასევე ავეჯის დასამზადებლად განკუთვნილ ნედლეულს. მათ შორის, მერქანბურბუშელოვან და მერქან-ბოჭკოვან ფილებს, ავეჯის სხვადასხვა აქსესუარებს.

კომპანია "Embawood"-ი აზერბაიჯანისა და საქართველოს გარდა ყაზახეთში, თურქეთში, თურქმენეთში, უზბეკეთსა და რუსეთშიცაა წარმოდგენილი. თბილისში კომპანიას უკვე აქვს სამი მაღაზია. "Embawood"-ის მაღაზიები ფუნქციონირებს თელავსა და ქუთაისში. უახლოეს მომავალში კომპანია თბილისსა და საქართველოს რეგიონებში ქსელის გაფართოვებას გეგმავს.

"კრიზისის ფონზე კომპანიამ დამატებითი ინვესტიციები ჩადო და დაიწყო საბრენდო მაღაზიების გახსნა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ამით კომპანიამ პირდაპირი ურთიერთობა დაამყარა მომხმარებელთან და შეძლო იმ სირთულეების გადალახვა, რაც კრიზისის ფონზე შეიქმნა. ამავდროულად, გაზარდა ექსპორტზე გატანილი საქონლის რაოდენობა, რომელიც ყაზახეთსა და თურქმენეთში გადის. ბევრი სირთულის მიუხედავად, წლის დასაწყისიდან, კომპანიამ 20%-ით გაზარდა თანამშრომელთა რაოდენობა. ამაჟამად, საქართველოში 440 ადამიანია დასაქმებული." - ამბობს "Embawood"-ის საქართველოს ოფისის მარკეტინგის მენეჯერი - გია ვაშაკიძე.

# სამი საფეხურით უკან

## ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველო ჩამოაქვეითეს

მანანა ვარდიაშვილი

ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით საქართველო მსოფლიოს 141 ქვეყანას შორის 42-ე ადგილზეა. წინა წელთან შედარებით ქვეყნის რეიტინგი სამი საფეხურით გაუარესდა. ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველოს 39-დან 42-ე ადგილზე ჩამოქვეითების მთავარ მიზეზად სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების და ფულის მასის ჭარბი ზრდა დასახელდა. რეიტინგის გაუარესების კიდევ ერთი მიზეზი 2007 წელს განხორციელებული ცვლილება გახდა, რომლის თანახმადაც სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა წელიწად-ნახევრამდე გაიზარდა.

ეკონომიკური თავისუფლების საერთაშორისო ქსელის მიერ ფრეიზერის ინსტიტუტის მეთოდოლოგიით მომზადებული წლიური მოხსენება 2009 წლის 14 სექტემბერს გამოქვეყნდა. კვლევა 2007 წლის სტატისტიკურ მონაცემებს და მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს ეყრდნობა. ეკონომიკური თავისუფლების კვლევაში, რომელსაც პროფესორები ჯეიმს გუორთნი და რობერტ ლოუსონი ხელმძღვანელობენ, საქართველოს შეფასება 2003 წლიდან ხდება. თავისუფალი ბაზრის იდეალისადმი ამა თუ იმ ქვეყნის შესაბამისობა 10-ქულიანი სისტემით ფასდება. (ცხ. 1).

ეკონომიკური თავისუფლების შესახებ კვლევა მთავრობების მხრიდან ეკონომიკური თავისუფლების მხარდაჭერის დონეს სწავლობს. 42 მაჩვენებელი, რომელსაც კვლევა ეყრდნობა, თავმოყრილია 5 ჯგუფში: 1. მთავრობის სიდიდე; 2. სამართლებრივი წყობა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა; 3. მყარი ვალუტის ხელმისაწვდომობა; 4. საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება; 5. სამეწარმეო, შრომითი და საკრედიტო ბაზრების რეგულირება.

ინდექსის სათავეში 8,97 ქულით წელსაც ჰონგ-კონგი იმყოფება. ეს ქვეყანა პირველობას 1970 წლიდან ინარჩუნებს. 8,66 ქულით მეორე ადგილზე სინგაპურია. 8,30 ქულით მესამე ადგილი ახალმა ზელანდიამ დაიკავა. მათ გარდა, ათეულში მოხვდნენ: შვეიცარია (8,19), ჩილე (8,14), აშშ (8,06), ირლანდია (7,98), კანადა (7,91), ავსტრალია (7,89), დიდი ბრიტანეთი (7.89) და ესტონეთი (7,81). ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში გერმანია 27-ე, ხოლო საფრანგეთი 33-ე ადგილზე იმყოფება. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველოზე უკეთესი რეიტინგი ლიტვას აქვს. ის ამჯერად 35-ე ადგილზე იმყოფება. ლატვია საქართველოს 2 საფეხურით ჩამორჩა და 44-ე ადგილი დაიკავა. ახალ რეიტინგში სომხეთი 48-ე ადილზეა, რუსეთი და აზერბაიჯანი კი, შესაბამისად, 83-ე და 85-ე ადგილებზე განთავსდნენ.

ამ რეიტინგში საქართველოს მაჩვენებლები ასე გამოიყურება (ცხ. 2).

ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით საქართველოს რეიტინგის შემცირებას "ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს" ვიცე-პრეზიდენტი გია ჯანდიერი ასე ხსნის: "39-დან 42-ე ადგილზე გადასვლის მთავარი მიზეზი, ჭარბ ემისიასთან ერთად, სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების მნიშვნელოვანი გაზრდა გახდა. ისეთი მნიშვნელოვანი პარამეტრი, როგორიცაა მთავრობის სიდიდე, 7,2 ქულით შეფასდა. ამ პარამეტრში საქართველოსთვის გაცილებით უარესი შეფასების მიცემაც შეიძლებოდა, რადგან მთავრობის ხარჯები მშპ-ს 14 პროცენტიდან 40 პროცენტამდე გაიზარდა".

როგორც კვლევის ავტორები შენიშნავენ, თავისუფალი ბაზრის იდეალს არც ერთი ქვეყანა არ შეესაბამება - ყველა ქვეყნის ეკონომიკა შერეული ტიპის ეკონომიკაა. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური თავისუფლების საშუალო მაჩვენებელი 1980 წელთან შედარებით 5,46-დან 6,65 ქულამდე გაიზარდა. იმ 109 ქვეყნიდან, რომლებშიც 1980 წელს კვლევა ჩატარდა, ოთხმოცდათექვსმეტში ეკონომიკური თავისუფლების დონე გაიზარდა.

სტატისტიკური შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ეკონომიკურად თავისუფალი ქვეყნები ნაკლებად თავისუფალ ქვეყნებს კეთილდღეობის ყველა მაჩვენებლით უსწრებენ. 2007 წლის მონაცემებით, ეკონომიკურად ყველაზე თავისუფალი ქვეყნების ჯგუფის (35 ქვეყანა) შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 32 443 აშშ დოლარზე მეტს შეადგენდა, მაშინ, როცა ყველაზე არათავისუფალ ქვეყანათა ჯგუფში (35 ქვეყანა) იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 3 802 აშშ დოლარი იყო. რეალური მშპ-ს ზრდა ყველაზე თავისუფალ ქვეყანათა ჯგუფში 2,4 პროცენტია, ხოლო ყველაზე არათავისუფალში - 0,9 პროცენტი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველაზე თავისუფალ ქვეყანათა ჯგუფში მშპ-ს 16.1 პროცენტს უტოლდება, არათავისუფლებში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 2.4 პროცენტია. თავისუფალ ქვეყნებში ყველაზე ღარიბი მოსახლეობის წლიური შემოსავალი 9 105 აშშ დოლარზე მეტია, მაშინ როცა არათავისუფალ ქვეყნებში ღარიბების შემოსავალი 896 აშშ დოლარია. თავისუფალ ქვეყნებში მცხოვრები ადამიანები თითქმის 20 წლით მეტს ცხოვრობენ. გარდა ამისა, თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კორუფციის დონე სამჯერ უფრო დაბალია, პოლიტიკური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები კი სამჯერ უფრო მეტადაა დაცული.

ვოლფგანგ იონი, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის დირექტორი სამხრეთ კავკასიაში ხაზს უსვამს ეკონომიკური თავისუფლების უპირატესობას: "მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ეკონომიკის გაჯანსაღება ძალიან თვალსაჩინო იყო. ამ მოვლენას ეკონომისტებმა და ექსპერტებმა "გერმანიის ეკონომიკური სასწაული" უწოდეს. რა თქმა უნდა, "მარშალის გეგმას" წვლილს ვერ დავუკარგავთ, მაგრამ გერმანიის ეკონომიკური სასწაულის საფუძველი ეკონომიკური თავისუფლება იყო. ეს თავისუფლება კი მეწარმის და ბიზნესმენის თავისუფლებას ეფუძნება და არა სახელმწიფო დირექტივას."



(ცხ. 1).



(ცხ. 2).

# ინვესტორებთან ურთიერთობაზე ამიერიდან "საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია" იზრუნებს

ინვესტორებთან ურთიერთობაზე ამიერიდან "საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია" იზრუნებს. ახლად დაფუძნებულ ასოციაციაში უახლოეს დღეებში 40-მდე კომპანია გაწევრიანდება. როგორც სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" "საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის" გენერალურმა მდივანმა თამაზ შავაძემ განუცხადა ასოციაციამ საქმიანობა აჭარიდან დაიწყო და მისი სათაო ოფისიც ბათუმში განთავსდა, თუმცა უახლოეს ხანებში ბიზნესგაერთიანება საკუთარ წარმომადგენლობას საქართველოს ყველა რეგიონში გახსნის.

"ასოციაციაში ძირითადად მსხვილი კომპანიები გაწევრიანდებიან, რომელთა მიერ განხორციელებული ინვესტიცია 100 ათას დოლარს აჭარბებს და იმავდროულად საკუთარ წარმოებაში 30 ადამიანზე მეტი ყავთ დასაქმებული. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ახალ ინვესტორებთან ურთიერთობა რათა მათ დროულად და ოპერატიულად მივაწოდოთ ნებისმერი ინფორმაცია"- აცხადებს თამაზ შავაძე.

"საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციამ" უცხოელ ინვესტორებთან კონსულტაციები უკვე დაიწყო, რათა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ის სტრატეგია, რომელსაც ასოციაცია ბიზნესა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობისათვის გამოიყენებს.

ასოციაციაში გასაწევრაინებლად თითოეულ ინვესტორს პირველადი შენატანის სახით 2 ათასი დოლარის და ხოლო ყოველთვიურად 200 დოლარიანი საწევროს გადახდა მოუწევს"- აცხადებს თამაზ შავაზე.

ახლად დაფუძნებული "საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია" თანამშრომლობას ყველა იმ ბიზნესგაერთიანებასთან აპირებს, რომლებიც ქვეყანაში ბიზნესსა და მთავრობას შორის ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებენ.

# ფინანსური პოლიციის მეორედ მოსვლა

## საგამოძიებო სამსახურს ფუნქციები არ გაეზრდება

ნინო ნატროშვილი

საქართველოს პარლამენტში ფინანსთა სამინისტროს კანონპროექტი შევიდა, რომელიც ფინანსური პოლიციის აღდგენას ითვალისწინებს. ეს უწყება კვლავ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სტრუქტურად ჩამოყალიბდება. კანონპროექტის მიხედვით, ფინანსურ პოლიციას უფლება ექნება, გამოიყენოს ფიზიკური ძალა და ცეცხლსასროლი იარაღი, დანიშნოს ექსპერტიზა, საჭიროების შემთხვევაში დაუბრკოლებლად შევიდეს ბინაში ან სხვა დაწესებულებაში ეჭვმიტანილის დასაკავებლად, ჩაატაროს შემოწმება დასახლებულ პუნქტებში, მაგისტრალებზე და ტერიტორიულ წყლებში. კანონპროექტი ფინანსური პოლიციის დასახმარებლად კონსპირაციული თანამშრომლების არსებობასაც ითვალისწინებს. უწყების ხელმძღვანელს პრემიერის წარდგენით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი.

როგორც ფინანსთა სამინისტროში განმარტავენ, კანონპროექტში საუბარია არა ფინანსური პოლიციის აღდგენაზე, არამედ საშემოსავლო სამსახურის საგამოძიებო ნაწილის ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო სტრუქტურად ჩამოყალიბებაზე. მინისტრის მოადგილე ირაკლი ღვალაძის განცხადებით, საშემოსავლო სამსახური სამოქალაქო სტრუქტურად ჩამოყალიბდება და ის გადასახადების ადმინისტრირებასა და გადამხდელებზე იქნება ორიენტირებული, პოლიციური ფუნქცია კი საგამოძიებო სამსახურს დაევალება. მისივე თქმით, მთავრობამ ამ ეტაპზე მიზანშეწონილად საშემოსავლო და საგამოძიებო სამსახურების ცალ-ცალკე სტრუქტურებად ფუნქციონირება მიიჩნია.

თუმცა, ღვალაძე აცხადებს, რომ საგამოძიებო სამსახურს ფუნქციები არ გაეზრდება. ახალ კანონპროექტს საპარლამენტო კომიტეტები უკვე განიხილავენ და მას პირველი მოსმენით სესიაზე მიმდინარე კვირაშივე გაიტანენ.

კანონპროექტის მიხედვით, უწყებას "ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ერქმევა". მას ეყოლება სპეცდანიშნულების რაზმი და თანამშრომლებს კანონის ფარგლებში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებაც ექნებათ.

კომიტეტებში კანონპროექტის განხილვა, სავარაუდოდ, მომავალი კვირიდან დაიწყება. მანამდე კი დეპუტატებს აღნიშნულ დოკუმენტს ხუთშაბათის სხდომაზე თავად ფინანსთა მინისტრი წარუდგენს. ფინანსური პოლიცია 2007 წელს გაუქმდა და მიზეზად სახელმწიფოსა და მეწარმეებს შორის ურთიერთობის დეკრიმინალიზაცია დასახელდა.

### ფინანსური პოლიცია წარსულში

ეს უწყება ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წელს ჩამოყალიბდა. ფინანსურ პოლიციას დაარსებიდან გაუქმებამდე დავით კეზერაშვილი ხელმძღვანელობდა.

ფინანსურ პოლიციაში საქართველოს მასშტაბით 625 თანამშრომელი ირიცხებოდა, ძირითადად, იურისტები და ეკონომისტები. მათი უმრავლესობა თბილისში მუშაობდა. რეგიონებში ხდებოდა პირველადი გამოძიება და ინფორმაციის მოძიება. თანამშრომელთა ხელფასები 700-დან 1800 ლარამდე მერყეობდა. გარდა ამისა, კონკრეტული საქმეებიდან გამომდინარე, თანამშრომლები იღებდნენ პრემიას. რეფორმების შემდეგ, 2,5 წლის განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზით დათხოვნილი იყო 600-მდე თანამშრომელი - ორი მათგანი ქრთამის აღების გამო, უმრავლესობა კი სამსახურებრივი მოვალეობების არასათანადოდ შესრულებისათვის.

ფინანსური პოლიციის ყველაზე ხმაურიან ოპერაციად სწრაფი კვების ობიექტ "ნიკალაში" შევარდნა ითვლება. ობიექტი მომხმარებელს ემსახურებოდა, როდესაც შეიარაღებული და ნიღბიანი რაზმი "ნიკალაში" შევარდა, რამაც პანიკა გამოიწვია. ფინანსური პოლიციის ამ მანევრს საზოგადოების და ოპოზიციის მძაფრი რეაქცია მოჰყვა. თუმცა მაშინ ფინანსურ პოლიციაში განმარტეს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით არსებობდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ "ნიკალას" ხელმძღვანელობას შეეძლო უსწრაფესად წაეშალა რეალურ მონაცემთა ბაზა კომპიუტერში, ამიტომ ფინანსური პოლიცია იძულებული იყო, ეს ოპერაცია ამ, არცთუ სასიამოვნო ფორმით განეხორციელებინა. ამ ოპერაციის შედეგად, დამალული ორი მილიონი ლარი ბიუჯეტში შევიდა.

შესამოწმებელ ობიექტთა შერჩევა ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდებოდა. შემოწმება ობიექტებზე ძირითადად საწყობებში ხდებოდა, თუმცა ობიექტის დალუქვის ხმაურიანი ფაქტიც გვახსოვს. კერძოდ, ავსტრიული კომპანია "შინ ჰოფერის" საწყობის დალუქვა. თუმცა მაშინ ფინანსურ პოლიციაში განმარტავდნენ, რომ არსებობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაცია ამ კომპანიის მიერ შემოტანილი საკვები პროდუქციის (ძეხვეულის) შემოწმების აუცილებლობის თაობაზე. როდესაც საქმე საკვები პროდუქტის ვარგისიანობას ეხება, ამ შემთხვევაში საკითხი განსხვავებულად დგას -

შესაბამისი დასკვნების გამოტანამდე პროდუქციის წარმოება ან გაყიდვა

იკრძალება. პარალელურად მიმდინარეობდა ამ კომპანიის დოკუმენტაციის

შემოწმება. ავსტრიის მხარესთან წერილობითმა ურთიერთობამ გარკვეული დრო

წაიღო. მაშინ ფინანსურ პოლიციაში აცხადებდნენ, რომ დარღვევები აღმოჩენილი იყო ფასების გაყალბებასთან დაკავშირებით. მოგვიანებით კი "შინ ჰოფერის" ძეხვი მტკვარში აღმოჩნდა - უწყებამ პროდუქტის განადგურების საკმაოდ ორიგინალური ხერხი აირჩია.

საზოგადოებას ასევე კარგად ახსოვს კონფლიქტი საბაჟოსა და ფინანსურ პოლიციას შორის, 2005-2007 წლებში საბაჟოს ფაქტობრივად ფინანსური პოლიცია აკონტროლებდა. ამ თემამ საქართველოს პარლამენტშიც გაიჟღერა, როდესაც დავით კეზერაშვილის ფარული სატელეფონო საუბარი გაიშიფრა - ის კერძო პირს მანქანების შემოყვანას საბაჟოს გვერდის ავლით ჰპირდებოდა. თუმცა კეზერაშვილმა თანამდებობა შეინარჩუნა... მოგვიანებით, დაპირისპირება გამძაფრდა, რამაც საბაჟოს მაშინდელი ხელმძღვანელის - ზურაბ ანთელიძის პორტფელი იმსხვერპლა. ანთელიძემ თანამდებობა პრეზიდენტის უშუალო მონაწილეობით დატოვა.

# თბილისში შეუზღუდავი პარკირება 25-ლარიანი ბარათით იქნება შესაძლებელი

თბილისში წლის განმავლობაში შეუზღუდავი პარკირება 25-ლარიანი ბარათით იქნება შესაძლებელი. ამ საკითხთან დაკავშირებით "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილება შედის.

კანონპროექტის თანახმად, 1 ოქტომბრიდან ავტომფლობელები 25-ლარიანი ბარათის აღების შემთხვევაში, მთელი წლის განმავლობაში თბილისში პარკირებისთვის გამოყოფილ ნებისმიერ ადგილზე პარკირების უფლებით ისარგებლებენ.

გარდა ამისა, კანონპროექტით ხდება პარკირების და ადმინისტრაციული დარღვევებისთვის დაწესებული გადასახადების შემცირება.

ტრანსპორტის პარკირებისთვის დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე ავტოტრანსპორტის დგომა, 40 ლარის ნაცვლად, 10 ლარამდე შემცირდება. დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას 12 საათზე მეტი დროით დგომისას ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო სატრანსპორტო საშუალებას სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაიყვანს. ამ სადგომიდან ტრანსპორტის გაყვანა კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ ჯარიმის გადახდის ქვითრისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ.

კანონპროექტის მიხედვით, 15-დან 10 ლარამდე მცირდება საქალაქო ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობისთვის დაწესებული ჯარიმა.

კანონპროექტის ინიცირება ბიუროს ბოლო სხდომაზე მოხდა, კომიტეტებში განხილვა კი უკვე დაიწყო. კანონპროექტი პირველი მოსმენით დღეს იურიდიულ საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებმა განიხილეს და მხარი შენიშვნების გარეშე დაუჭირეს.

დედაქალაქში ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევისთვის ჯარიმები მცირდება. ინიციატივა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მელაძეს და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლაშა თორდიას ეკუთვნის და ცვლილება შედის "ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსში".

კანონპროექტის თანახმად, დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას ავტოტრანსპორტის პარკირებისთვის დადგენილი საფასურის გარეშე ავტოტრანსპორტის დგომა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით. ამასთან, იმ ავტოტრანსპორტს, რომელიც დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას დგას 12 საათზე მეტი დროით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო ან მისი უფლებამონაცვლე პირი გადაიყვანს სპეციალურ დაცულ სადგომზე, თუ ამის თაობაზე მინიშნება ახლავს პარკირების ნიშანს.

მოქმედი კანონმდებლობით, დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე ავტოტრანსპორტის დგომა მგზავრთა ჩასხდომისა და გადმოსხდომისათვის საჭიროზე მეტი დროით, 20 ლარით ჯარიმდება.

ამას გარდა, ავტოტრანსპორტის პარკირების სხვა დარღვევები 40 ლარის ნაცვლად, 10 ლარით დაჯარიმდება. სპეციალურ სადგომზე ავტოტრანსპორტის გადაყვანა კი დასაშვები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას.

კანონ-პროექტის ინიცირება ბიუროს ბოლო სხდომაზე მოხდა და კომიტეტებში ინიციატივის განხილვა უკვე დაიწყო.

"ლეიბორისტულმა პარტიის" წარმომადგენლებმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ მოხარული არიან "სითი პარკის" გაუქმების გამო. პარტიის გენერალური მდივნის, იოსებ შატბერაშვილის განცხადებით, "სითი პარკის " გაუქმება მათი აქციების დამსახურებაა.

"ბოლო აქციაზე ვთქვით, რომ ვიბრძოლებდით ჯარიმების შემცირებაზე. დღეს საქართველოს პარლამენტში შესულია ეს საკითხი და უახლოეს პერიოდში ჯარიმები 200%-ით შემცირდება," - განაცხადა შატბერაშვილმა.

მისი განცხადებით, "ლეიბორისტები" ევაკუატორების აკრძალვისთვისაც იბრძოლებენ.

შატბერაშვილმა განაცხადა, რომ "ლეიბორისტები", პოლიტპატიმრებთან ერთად, სოლიდარობას უცხადებენ ლევან გოგიჩაიშვილს.

"გუშინ გასამართლებულ იქნა ცნობილი მოღვაწე ლევან გოგიჩაიშვილი, ის პოლიტპატიმარია. "ლეიბორისტული პარტია" პოლიტპატიმრებთან ერთად სოლიდარობას უცხადებს მას. ვიბრძოლებთ გოგიჩაიშვილის გასათავისუფლებლად," - აცხადებს შატბერაშვილი.

### IFC დასავლეთ საქართველოს კომპანიებს მართვის სისტემასთან დაკავშირებული საკითხების გაუმჯობესებაში დაეხმარება

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), დასავლეთ საქართველოს კომპანიებს კორპორაციული მართვის სისტემასთან დაკავშირებული საკითხების უკეთ გააზრებასა და მათ გაუმჯობესებაში დაეხმარება. პროექტი კომპანიებს ფინანსური მხარის გაუმჯობესებაში დაეხმარება, რაც მათთვის დაფინანსებას უფრო ხელმისაწვდომს გახდის.

პროექტის ფარგლებში IFC-იმ ბათუმში სემინარი ჩაატარა, რომელიც დასავლეთ საქართველოს კომპანიების მფლობელებსა და მენეჯერებს დაეხმარება იმის გააზრებაში, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესებულმა კორპორაციულმა მართვამ უფრო ეფექტიანი გახადოს მათი საქმიანობა, შეამციროს მათი დანახარჯები და მოიზიდოს ინვესტიცია.

"დღეს განსაკუთრებული აქცენტია კორპორაციულ მართვაზე, რადგან ის ეხმარება კომპანიებს კრიზისის დაძლევაში და ინვესტორთა ნდობის მოპოვებაში," განაცხადა IFC-ის კორპორაციული მართვის პროექტის მენეჯერმა მაია თევზაძემ.

"იმ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გააუმჯობესონ კორპორაციული მართვა, IFC სთავაზობს კორპორაციული მართვის გაუმჯობესების საგანგებოდ შემუშავებულ პროგრამას, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მიზნით შერჩეულ კომპანიებთან უფრო სიღრმისეულ მუშაობას ითვალისწინებს"- აცხადებს თევზაძე.

ეს სემინარი კორპორაციული მართვის თემაზე IFჩ-ის მესამე რეგიონული სემინარია. ბოლოდროინდელი ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, სემინარზე ყურადღებას გაამახვილებენ დირექტორთა საბჭოს როლზე კრიზისისათვის მომზადების პერიოდში, რისკის მართვის საშუალებების გამოყენებაზე, აქციონერთა დავების მოგვარებასა და წლიური ანგარიშების მომზადებაზე.

IFC-ის კორპორაციული მართვის პროექტის მიზანია კორპორაციული მართვის სისტემის გაუმჯობესება საქართველოს კომპანიებსა და ბანკებში, რაც მათ დაეხმარება უფრო ეფექტიანად აწარმოონ საქმიანობა და უფრო ადვილად მიუწვდეთ ხელი კაპიტალზე. IFC აღნიშნულ პროექტზე მუშაობისას თანამშრომლობს BP-სთან და მის პარტნიორებთან ნავთობის და გაზის სფეროში და კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან

### მოსკოვმა ცხინვალს ახალი პოლიგრაფიული აპარატურა გაუგზავნა

ე. წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ე. წ. სამხრეთ ოსეთმა ახალი პოლიგრაფიული აპარატურა მიიღო. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამიერიდან სამხრეთ ოსეთში უმაღლესი ხარისხის წიგნები, ჟურნალები და თვალსაჩინოებები დაიბეჭდება.

"საქართველოს აგრესიის შედეგად ჩვენი აპარატურა დაზიანდა და ნორმალურად მუშაობა უკვე აღარ შეგვეძლო. ახალი აპარატურა მოსკოვიდან გამოგვიგზავნეს", - აცხადებს ტიპოგრაფიის დირექტორი მადინა იკაევა.

### IFC-მ საქართველოს ბანკების ასოციაციასა და საფონდო ბირჟასთან ერთად კორპორაციული მართვის კოდექსი შეიმუშავა

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC), მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრმა, საქართველოს საბანკო ასოციაციასა და საქართველოს საფონდო ბირჟასთან თანამშრომლობის შედეგად კორპორაციული მართვის ნებაყოფლობითი კოდექსი შეიმუშავა. აღნიშნული ინიციატივა დაეხმარება ბანკებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვასა და ქვეყნის საბანკო სექტორისადმი ნდობის ამაღლებაში.

აღნიშნული კოდექსი IFC-მ, საქართველოს ბანკების ასოციაციამ და საქართველოს საფონდო ბირჟამ საქართველოს ბანკების წარმომადგენლებს წარუდგინეს. მისი მიღება და გაზიარება რეკომენდებულია ბანკებში კორპორაციული მართვის უკეთესი პრაქტიკის დასანერგად. ნებაყოფლობითი კოდექსი კორპორაციული მართვის უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს, ვიდრე ეს ქართულ კანონმდებლობაშია ასახული. ეს კი იმას ნიშნავს იმას, რომ ბანკები, რომლებიც მიიღებენ აღნიშნულ კოდექსს, მზადყოფნას გამოხატავენ დაამკვიდრონ კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტები, რაც მათ ინვესტორთა ნდობის მოპოვებაში დაეხმარება.

IFჩ თავის თავზე იღებს ამ ინიციატივის შესახებ საინფორმაციო უზრუნველყოფას და ჩაატარებს საგანმანათლებლო მრგვალი მაგიდის ტიპის შეხვედრებს, სადაც დაინტერესებულ მხარეებს განუმარტავს, რა დადებითი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს კოდექსს საქართველოს ბიზნესზე.

"მოხარულნი ვართ, რომ სულ უფრო მეტი ბანკი უთმობს ყურადღებას კორპორაციული მართვის საკითხს. კორპორაციული მართვის კოდექსი წარმოადგენს ბანკებში უკეთესი კორპორაციული მართვის პრაქტიკის დანერგვის საფუძველს", - განაცხადა საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ.

IFC-ის კორპორაციული მართვის პროექტის ხელმძღვანელის მაია თევზაძის თქმით, კორპორაციული მართვის კოდექსი ბანკებისთვის უმთავრესად ემსახურება ეროვნული სტანდარტების ამაღლებას.

"ეს იქნება პოზიტიური სიგნალი ბაზრისთვის და საქართველოში მოქმედ ბანკებს დაეხმარება ინვესტორთა ნდობის მოპოვება-შენარჩუნებაში", - აცხადებს იგი.

## სემინარი ადვოკატებისთვის

19 სექტემბერს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრში, ასოციაციის წევრებისათვის გაიმართება სემინარი "ადვოკატთა პროფესიულ ეთიკისა და ადვოკატთა დისციპლინური წარმოების საკითხებზე", რომელსაც გაუძღვება ექსპერტი გიორგი ტურაზაშვილი.

ადვოკატები გაეცნობიან პროფესიული ეთიკის არსს, დანიშნულებას და ძირითად პრინციპებს, ეთიკის კომისიის მუშაობის ფორმას, გამოტანილი გადაწყვეტილებების თემატიკასა და საჩივრის განხილვის პრაქტიკულ პროცედურას. მოხდება კაზუსთა განხილვაც. საქართველოს ადვოკატთა სოციაცია უკვე ორი წელია ატარებს ტრენინგებს პროფესიული ეთიკის საკითხებში

## იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის დელეგაცია ხვალ ვილნიუსში მიემგზავრება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის დელეგაცია ლიტვის რესპუბლიკის საარქივო დეპარტამენტის მიწვევით ვილნიუსში საპასუხო ვიზიტით მიემგზავრება. ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის მოადგილე გოგიტა ჭეჟია და ეროვნული არქივის სამეურნეო სამსახურის უფროსი ნოე მენთეშაშვილი ვიზიტის ფარგლებში ლიტვის ცენტრალურ, ასევე, კაუნასისა და შაულაის რეგიონულ არქივებს დაათვალიერებენ და ლიტველი კოლეგების მუშაობას, დოკუმენტების რესტავრაციისა და ციფრულ ფორმატში გადატანის პროცესს გაეცნობიან. ლიტვის რესპუბლიკის საარქივო დეპარტამენტის დელეგაცია თბილისში მარტში იმყოფებოდა, რა დროსაც ორი ქვეყნის არქივებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. შეთანხმება გამოცდილების გაზიარებას და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებს. საქართველოს ეროვნული არქივის დელეგაციის ვიზიტი ლიტვაში 29 სექტემბერს დასრულდება. **პირველი**

## თანამედროვე ციხეების მშენებლობის დამთავრება 2010 წლის ზაფხულისთვის იგეგმება

მთავრობა 2010 წლის ზაფხულისთვის თანამედროვე ციხეების მშენებლობის დამთავრებას გეგმავს. როგორც მთავრობის 2009 წლის პირველი 6 თვის ანგარიშშია ნათქვამი, ციხეების მშენებლობის დასრულება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საშუალებას მისცემს, დახუროს სამი ძველი ამორტიზებული დაწესებულება. კერძოდ, N7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება ქსანში, აღმოსავლეთ საქართველოში N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება რუსთავში და ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ მიმდინარეობს კიდევ ერთი ახალი ციხის მშენებლობა ლაითურში, დასავლეთ საქართველოში, რომელიც გათვლილია 3 000 პატიმარზე. მისი ექსპლუატაციაში შესვლა კი 3 ძველი დაწესებულების - ბათუმის N3 საპყრობილის, ზუგდიდის N4 საპყრობილისა და ხონის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების დახურვის საშუალებას იძლევა.

"ამ სამი ციხიდან პატიმრების გადაყვანის შემთხვევაში ლაითურის დაწესებულების მხოლოდ 40 პროცენტი იქნება გამოყენებული და, ამგვარად, გადატვირთულობის პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება," - ნათქვამია მთავრობის ანგარიშში. მთავრობის ანგარიშს დეპუტატები ოქტომბრის ბოლოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურისგან ჩაიბარებენ. **ინტერპრესნიუსი**

## დაკავება თაღლითობის ბრალდებით

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამსახურებრივი ინსპექტირების დეპარტამენტმა 17 სექტემბერს თაღლითობის ბრალდებით ადვოკატი ვალერი წოწორია დააკავა. წოწორიამ ნარკოტიკული საშუალებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისთვის ბრალდებულის ოჯახს სხვადასხვა დროს, მოტყუებით, გამოართვა 10 000 აშშ დოლარი და 5 000 ლარი. ადვოკატი ბრალდებულის ოჯახს ატყუებდა, თითქოს თანხა მაღალჩინოსნისთვის უნდა გადაეცა, საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად. ვალერი წოწორიას ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით წარედგინა და სასამართლომ უკვე შეუფარდა პატიმრობა **ინტერპრესნიუსი**

## რუსეთში ქართველი "კანონიერი ქურდი" დააკავეს

რუსეთში ორიოდე დღის წინ ქართველი "კანონიერი ქურდი," 38 წლის კახა მაკალათია დააკავეს. იგი სასტუმროში აიყვანეს და დაკავების მიზეზად ყალბი საბუთების ქონა წარუდგინეს.

როგორც ირკვევა, მაკალათიას სხვის სახელზე გაცემული პასპორტი ჰქონდა და, შესაბამისად, მოსკოვში ჩაწერაც გაყალბებული იყო. მას წინასწარი 30-დღიანი პატიმრობა უკვე შეუფარდეს და, სავარაუდოდ, საქართველოში ექსტრადაციას მოახდენენ.

მაკალათიას ადვოკატმა სასამართლოს შუამდგომლობით უკვე მიმართა და სთხოვა, რომ მისი კლიენტის ექსტრადიცია არა საქართველოში, არამედ უკრაინაში მოხდეს, თუმცა ასეთ ვარიანტზე უკრაინული მხარე არ თანხმდება. თბილისში ჩამოყვანის შემთხვევაში, მაკალათიას "კანონიერი ქურდის" სტატუსის ტარების გამო ციხე ელის.

# ქალების შრომითი უფლებები და კანონი

თამარ კაციტაძე

*საქართველოში ყველა სხვა უფლებებთან ერთად კანონით დაცულია ქალთა შრომის უფლებებიც. იგი დარეგულირებულია "საქართველოს შრომის კოდექსით", რომელის ძალაში 2006 წელს შევიდა. თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ახალ კოდექსში მანამდე მოქმედ "საქართველოს შრომის კანონთა კოდექსთან" შედარებით ქალთა შრომითი უფლებები შეიზღუდა. ძველ კოდექსში მკვეთრად იყო გათვალისწინებული და განსაზღვრული ქალთა შრომის პირობების თავისებურებანი, ის თუ რა სამუშაოს შესრულება ევალება ქალს და როგორ უნდა დაიცვას საკუთარი დარღვეული შრომითი უფლება. ამ უფლებებს ახალ შრომით კოდექსში ვერსად ნახავთ. თუმცა, პარლამენტში წარდგენილია კანონპროექტი, რომელიც "საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში" ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს. მანამდე, სანამ არსებული კანონის დახვეწა მოხდება, გთავაზობთ, კანონპროექტის ერთ-ერთ ავტორის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის, იურისტ ირაკლი ყანდაშვილისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სპიკერი მოსამართლე მირანდა ერემაძის განმარტებებს ქალთა შრომით უფლებებზე.*



"საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის" 156-ე მუხლით, აკრძალული იყო ქალის შრომის გამოყენება მძიმე და შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოზე, გარდა ზოგიერთი მიწისქვეშა სამუშაოებისა (არაფიზიკური მუშაობა ან მუშაობა სანიტარიული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში). ძველი კანონმდებლობა დამქირავებელს უკრძალავდა "ქალის შრომის გამოყენებას ღამის სამუშაოებზე, სახალხო მეურნეობის იმ დარგების გარდა, სადაც ეს გამოწვეულია განსაკუთრებული აუცილებლობით და ნებადართულია როგორც დროებითი ღონისძიება."

ადვოკატ ირაკლი ყანდაშვილის განმარტებით, დღეს მოქმედ "საქართველოს შრომის კოდექსში" კი, ქალებისა და მამაკაცების შრომის უფლებებში განსხვავებაა მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ორსულის, ახალნამშობიარების ან მეძუძური ქალის დასაქმებას ეხება.

დასაქმებულ ქალებს განსაკუთრებული შეღავათები შვებულების სახით მხოლოდ ორსულობის, მშობიარობისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო ეძლევათ.

**"შრომის კოდექსის მიხედვით, ქალები შვებულებით სარგებლობენ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო 477 კალენდარული დღის ოდენობით, რომელთაგან ანაზღაურებადია 126 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში 140 კალენდარული დღე. საინტერესოა, რომ აღნიშნული შვებულება მანდილოსნებს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლიათ გადაანაწილონ ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდზე. რაც შეეხება მსგავსი შვებულების დაფინანსებას, უნდა აღინიშნოს, რომ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება ასევე შეთანხმდნენ დამატებითი ანაზღაურების თაობაზეც,"** - განმარტავს ირაკლი ყანდაშვილი.

შვებულება გაიცემა მშობიარობამდე 70 კალენდარული დღის ხანგრძლივობით, ხოლო მშობიარობის შემდეგ - 56 (გართულებული მშობიარობის ან ორი და მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში - 70) კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

ქალს, რომელმაც ახალშობილი ბავშვი იშვილა სამშობიარო სახლიდან, შვებულება ეძლევა ბავშვის შვილად აყვანის დღიდან, ვიდრე ბავშვის დაბადებიდან გავიდოდეს 56 დღე.

"შრომის კოდექსის" 30-ე მუხლით ქალს დამატებითი შვებულების უფლება აქვს, კერძოდ, "დასაქმებულს თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო - 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი". სხვათა შორის, ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულება შეიძლება მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს.

**"დღეს მოქმედი შრომის სამართლის კოდექსით, დასაქმებულ ქალს, რომელიც მეძუძურია და კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა და ბავშვის კვებისათვის შესვენება ეთვლება სამუშაო დროში - ეს დრო ანაზღაურებადია. აღნიშნული უფლება მოქმედი შრომის კოდექსის ნამდვილად დადებითი მომენტია,"** - ამბობს ირაკლი ყანდაშვილი.

საქართველოს კანონმდებლობა, შედარებით მკაცრია, როდესაც საქმე ეხება ორსული ქალების და, ზოგადად, იმ ქალების, რომლებსაც ბავშვები ჰყავთ, სამუშაოზე მიღების გარანტიას და სამუშაოდან დათხოვნას.

**"ამ კატეგორიის ქალებისთვის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმისას ადმინისტრაცია ვალდებულია წერილობითი ფორმით აცნობოს მათ უარის მიზეზები. სამუშაოზე მიღების უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში მსგავსი დარღვევები ყოფილა და დღესაც შეინიშნება. ამასთან, დაუშვებელია ორსული ქალებისა და იმ ქალების, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ (მარტოხელა დედებისა - თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვის ან თექვსმეტ წლამდე ინვალიდი ბავშვის ყოლისას) დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით, გარდა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევებისა, როდესაც დათხოვნა დაშვებულია სავალდებულო შრომითი მოწყობით,"** - აღნიშნავს ადვოკატი ირაკლი ყანდაშვილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სპიკერი მოსამართლე მირანდა ერემაძის ინფორმაციით, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ორსული ან სამ წლამდე ასაკის ბავშვიანი ქალის სამსახურიდან დათხოვნის ბევრი ფაქტი არ არსებობს. თუმცა ასეთი დავები არის, რაც სპიკერი მოსამართლის განმარტებით, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ დათხოვილი ქალების სასარგებლოდ სრულდება. სასამართლო გადაწყვეტილებით, საჯარო სამსახურის შემთხვევაში უქმდება ბრძანება და გათავისუფლებული ქალები აღდგენილები არიან სამსახურებში. ამასთან, კანონის შესაბამისად, ხდება "დამნაშავე" სამსახურისთვის განაცდურის დაკისრება.

სპიკერი მოსამართლის განცხადებით, ორსული ან მცირეწლოვანი ბავშვის დედის სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები არის სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავის საგანი. თუ საქმე ეხება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის დარღვევას, მაშინ საქმე ადმინისტრაციული დავის საგანი ხდება. ხოლო, როდესაც დავა არის დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, ანუ სახეზეა "შრომის კოდექსის" დარღვევას, ეს უკვე სამოქალაქო სამართლებრივი დავაა. მირანდა ერემაძის განმარტებით, სხვა საქმეებისგან შრომითი უფლებების აღდგენის დავებს კანონმდებლობა მხოლოდ იმით განასხვავებს, რომ ასეთი საქმეები კანონმდებლობით მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში უნდა განიხილონ. კერძოდ, სხვა შემთხვევაში თუ დადგენილია ორთვიანი ვადა, შრომითი უფლების აღდგების საქმის განხილვა ერთი თვის განმავლობაში უნდა მოხდეს.

# ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევისთვის ჯარიმები მცირდება

დედაქალაქში ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევისთვის ჯარიმები მცირდება და მიდგომაც ლიბერალური ხდება.

პარლამენტმა უკვე დაიწყო შესაბამისი კანონპროექტის განხილვა, რომელიც "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებებს ითვალისწინებს.

კანონპროექტით, დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას ავტოტრანსპორტის პარკირებისთვის დადგენილი საფასურის გარეშე ავტოტრანსპორტის დგომა, გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით. ამასთან, იმ ავტოტრანსპორტს, რომელიც დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას დგას 12 საათზე მეტი დროით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო ან მისი უფლებამონაცვლე პირი გადაიყვანს სპეციალურ დაცულ სადგომზე, თუ ამის თაობაზე მინიშნება ახლავს პარკირების ნიშანს.

დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე ავტოტრანსპორტის დგომა მგზავრთა ჩასხდომისა და გადმოსხდომისთვის საჭიროზე მეტი დროით, დღეს 20 ლარით ჯარიმდება.

ამას გარდა, ავტოტრანსპორტის პარკირების სხვა დარღვევები 40 ლარის ნაცვლად, 10 ლარით დაჯარიმდება. სპეციალურ სადგომზე ავტოტრანსპორტის გადაყვანა კი დასაშვები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას.

კანონპროექტის ავტორები დეპუტატები ლაშა თორდია და გიორგი მელაძე არიან.

*ინტერპრესნიუსი*

# ამერიკა გააგრძელებს მსოფლიოში დემოკრატიის მხარდაჭერას

## თუმცა მსოფლიოს წინაშე მდგარ პრობლემებს მარტო ვერ მოაგვარებს

ივა შილაკაძე

გუშინ გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რასაც მოუთმენლად ელოდა მთელი მსოფლიო პოლიტიკური ისტებლიშმენტი. ობამა ახლარჩეული პრეზიდენტია, თან თავისი მენტალიტეტით და მთელი რიგი საკითხებისადმი მიდგომით - სამაოდ განსხვავებული თავისი წინამორბედებისაგან. მას პირველად უწევდა გაეროს ასამბლეაზე გამოსვლა და აქედან გამომდინარე მის სიტყვას საპროგრამო მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ობამამ თავის გამოსვლაში გაეროსთან უფრო აქტიური თამანშრომლობის სურვილი გამოთქვა, ვიდრე ამერიკა ამას აქამდე აკეთებდა. ამერიკის პრეზიდენტი ოთხ ძირითად თემას შეეხო. ესენია: ბირთვული შეიარაღების კონტროლი, მშვიდობის მხარდაჭერა, გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლა და მსოფლიო ეკონომიკის განვითარება.

ბარაკ ობამამ აღნიშნა, რომ მას კარგად ესმის, თუ რამ გააჩინა ანტიამერიკანიზმი ბოლო პერიოდში ბევრ ქვეყანაში. ამერიკა ზოგიერთი პრობლემების გადაწყვეტისას ცალმხრივად მოქმედებდა, ზოგ შემთხვევაში კი ამერიკის პოლიტიკა არასწორად იყო გაგებული. მან დღეს დანარჩენ ქვეყნებს პასუხისმგებლობის განაწილებისა და ერთობლივი მოქმედებებისკენ მოუწოდა. პირველ რიგში ეს, ცხადია, ეხებოდა ისეთ გლობალურ საკითხებს, როგორიც კლიმატის ცვლილება და მშვიდობისათვის ბრძოლაა. "ის ვინც ადრე ამერიკას ლანძღავდა იმისთვის, რომ ეს უკანასკნელი მარტო მოქმედებდა, დღეს განზე ვერ გადგება და ვერ დაელოდება, სანამ



ამერიკა მარტო მოაგვარებს მსოფლიო პრობლემებს".

ბარაკ ობამამ პირობა დადო, რომ კვლავ გააგრძელებს დემოკრატიის მხარდაჭერას მთელს მსოფლიოში, უბრალოდ ეს აღარ გაკეთდება ცალსახად და სწორხაზოვნად, უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული ეროვნული თავისებურებები. თუმცა საბოლოო მიზანი ერთია და მისი აზრით დემოკრატიული პრინციპები უნივერსალურია მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის.

ირანზე და ჩრდილოეთ კორეაზე საუბრისას, მან ხაზი გაუსვა დიპლომატიის მნიშვნელობას, რაც მეტ საშუალებას იძლევა აყვავებისა და უფრო მყარი მშვიდობის მიღწევისათვის. მაგრამ "თუ ირანისა და ჩრდილოეთ კორეის მთავრობები ვერ აცნობიერებენ ბირთვული შეიარაღების ესკალაციის საფრთხეს ახლო აღმოსავლეთისა და აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთისათვის, მაშინ აუცილებელია მათ პასუხისმგებლობისკენ მოვუწოდოთ".

ამერიკის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ის ყველა ქვეყანასთან ითანამშრომლებს მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცა ყოველთვის დაიცავს საკუთარი სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს და ამისთვის ბოდიშს არასოდეს მოიხდის.

# ობამა "მშვიდობისკენ იძულებას" ცდილობს

ივა შილაკაძე

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ნიუ-იორკში მოლაპარაკების მაგიდასთან დასვა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ და პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციის თავმჯდომარე მაჰმუდ აბასი. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ბარაკ ობამა ოდნავ გალიზიანებული იყო და მოუთმენლობა ეტყობოდა.

ამერიკის ადმინისტრაციაც და კონფლიქტის მხარეებიც წინასწარვე სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი ამ შეხვედრის შედეგების მიმართ. ძალიან დიდია დაპირისპირება, და ებრაელებიც და პალესტინელებიც არაორაზროვნად მიანიშნებდნენ, რომ ამ შეხვედრაზე მხოლოდ ბარაკ ობამას ავტორიტეტის გამო დათანხმდნენ. ისრაელი არ წყვეტს მშენებლობებს მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და იერუსალიმის არაბულ ნაწილში, ეს კი პალესტინელებისთვის, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან მძიმე მომენტია. შეხვედრამდე ორი დღით ადრე ისრაელის ტერიტორიაზე რაკეტები ჩამოვარდა, ღაზის სექტორის საზღვართან კი ისრაელის ტანკის ცეცხლს ორი პალესტინელი შეეწირა.

ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტია. გაეროს გენერალური ასამბლეა კი მისთვის კიდევ ერთი საშუალება იყო, რომ ისრაელისა და პალესტინელების ლიდერები კონფლიქტის მოგვარებისთვის ერთობლივი მუშაობის აუცილებლობაში დაერწმუნებინა. "მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა, ისტორიისა და უნდობლობის ატმოსფეროს მიუხედავად, ჩვენ უნდა მოვნახოთ წინსვლის საშუალება", - ხაზი გაუსვა ამერიკის პრეზიდენტმა. - "მთელი ჩვენი ნება უნდა გამოვიყენოთ, რომ გამოვიდეთ ამ ჩიხიდან, რომელშიც იმყოფებოდნენ ებრაელთა და პალესტინელთა მთელი თაობები...". ბარაკ ობამამ სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონსა და რეგიონში სპეციალურ წარმომადგენელ ჯორჯ მიტჩელს უახლოესი შეხვედრების გეგმაც დაუსახა და ათიოდე დღეში გარკვეული შედეგების მიღწევა მოსთხოვა.

ბარაკ ობამამ შეხვედრის შემდეგ ბენიამინ ნეთანიაჰუსა და მაჰმუდ აბასს ერთმანეთისთვის ხელის ჩამორთმევაც კი აიძულა, მაგრამ ყველა ჟურნალისტმა შენიშნა ნაძალადევი და ყალბი ღიმილი დაპირისპირებული პოლიტიკოსების სახეებზე. ძნელია ვივარაუდოთ რა პროგრესის მიღწევა მოხერხდება უახლოეს თვეებში.

# რუსეთი ავღანური "ჰეროინის" ტყვეობაშია

## ფართომასშტაბიანი ოპერაცია ნარკობარონების წინააღმდეგ

*ამერიკელ კოლეგებთან შეხვედრისას რუსეთის ნარკოტიკების ბრუნვაზე კონტროლის ფედერალური სამსახურის უფროსმა ვიქტორ ივანოვმა ამერიკისგან მოითხოვა ავღანეთში ყაყაჩოს პლანტაციების განადგურება. The New York Times-ის ინფორმაციით, ივანოვის განცხადებით, რუსეთში შესული ავღანური ნარკოტვირთი ქვეყანაში კატასტროფულ სიტუაციას ქმნის.*

როგორც გამოცემა იუწყება, მიეხედავად არსებული სიტუაციისა, ამერიკის ხელისუფლებამ ცოტა ხნის წინ გააუქმა პრეზიდენტ ბუშის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ავღანეთში ყაყაჩოს პლანტაციების განადგურებას. რეგიონში ობამას სპეციმისარმა რიჩარდ ჰოლბრუკმა განაცხადა, რომ ბუშის პროგრამა ღატაკ გლეხებს ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობს და ისინი თალიბებს ეკედლებიან.

როგორც The New York Times წერს, რიჩარდ ჰოლბრუკის საპასუხოდ ივანოვმა განაცხადა, რომ ბუშის პროგრამა - ყაყაჩოს პლანტაციების მასობრივი განადგურება, სუსტი პროგრამა იყო და ამერიკის ხელისუფლებას რეკომენდაცია მისცა, პლანტაციები გაენადგურონ იმ მეთოდით, რომელსაც კოლუმბიაში იყენებენ - სპეციალური ქიმიური ხსნარით.

ივანოვი აცხადებს, რომ რუს ნარკომანთა 90 პროცენტი მოიხმარს ავღანურ "ჰეროინს".



ფართომასშტაბიანი ოპერაცია ლოს-ანჯელესში

**"ავღანური ნარკოტიკის მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის რუსეთში გავრცელება, გლობალურ უსაფრთხოებას საშიშროებას უქმნის. ავღანური ნარკოტრაფიკი ექსტრემისტული და ტერორისტული დაჯგუფებების შემოსავლის სერიოზული წყაროა, და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება აშშ-ს რეპუტაციას ლახავს,"** - წერს The New York Times.

გაზეთის ინფორმაციით, ობამას ადმინისტრაცია ამ დროისთვის "ოპიუმის" მწარმოებელი მცენარეებისა და სხვა ალტერნატიული ნარკოკულტურების განადგურებითაა დაკავებული. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ობამას ადმინისტრაციის ეს ღონისძიება, საფუძვლიანი გადატრიალებაა ამერიკის ისტორიაში ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის საქმეში.

გაერო-ს უახლესი ინფორმაციით, გასულ წელს ავღანეთში "ოპიუმის" წარმოება ორჯერ შემცირდა, ხოლო ფასი გასული 10 წლის ფასებთან შედარებით მინიმუმამდე დავიდა. ამ სტატისტიკას ექსპერტთა ნაწილი ოფიციალური პროგრამების დამსახურებად მიიჩნევს, ნაწილი კი შავი ბაზრის მოთხოვნებს აბრალებს.

თუმცა, როგორც გამოცემა წერს, **"ავღანეთში მაინც უზარმაზარი რაოდენობის "ოპიუმი" იწარმოება, იმაზე გაცილებით მეტი, რასაც მთელი მსოფლიოს ნარკომანები მოიხმარენ. საიდუმლო რეზერვების მოცულობა კი გაიზარდა 10 ათას ტონამდე,"** - წერს The New York Times, რომლის ინფორმაციითაც, გუშინწინ ლოს-ანჯელესში ფართომასშტაბიანი ოპერაცია ჩატარდა ნარკობარონების წინააღმდეგ. პოლიციამ დააპატიმრა მსხვილი ორგანიზებული-დანაშაულებრივი დაჯგუფება Avenues-ის 90 წევრი, რომლებიც ავღანური ნარკოტიკებით ვაჭრობდნენ. 2 ავგისტოს დაჯგუფების წევრებმა სიცოცხლეს გამოასალმეს შერიფის თანაშემწე ხუან ესკალატე. Avenues-ის დაჯგუფებას მართავდნენ მექსიკური მაფიის წარმომადგენლები და ისინი აკონტროლებდნენ ლოს-ანჯელესის სამხრეთ-ჩრდილოეთ რაიონს.

## საფრანგეთის პოლიციამ კალეს ბანაკი გააუქმა

საპორტო ქალაქ კალეს მახლობლად მდებარე მიგრანტთა ბანაკის გასაუქმებლად საფრანგეთის პოლიციამ საგანგებო ოპერაცია ჩაატარა. ბანაკი იმ მიგრანტთა თავშესაფარი იყო, რომლებიც საფრანგეთის გავლით დიდ ბრიტანეთში მოხვედრას ცდილობდნენ.

ბანაკი, რომელმაც ადგილობრივი მოსახლეობისგან დიდი ხნის წინ სახელი "ჯუნგლი" მიიღო, ასობით პოლიციელმა ალყაში მოაქცია. ოპერაციის მიმდინარეობის დროს პოლიციასა და 80-მდე აქტივსტს შორის დაპირისპირებაც მოხდა, თუმცა ბანაკის მაცხოვრებთა უმეტესობას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

იმიგრაციის საკითხთა მინსიტრის, ერიკ ბრესონის განცხადებით, სამართალდამცავებმა ოპერაციის დროს 267 ადამიანი დააკავეს. ამ დროისათვის მიგრანტები კალეს რაიონში მდებარე საგანგებო ცენტრებში არიან გადაყვანილი, სადაც მათი საქმეები განიხილება.

საფრანგეთის ხელისუფლების ცნობით, ყველა მიგრანტს ექნება საშუალება ოფიციალური თავშესაფარი, ან ნებაყოფლობით რეპატრიაციაში დახმარება ითხოვოს.

საფრანგეთის ხელისუფლებას დღეს-დღეობით ის აშფოთებს, რომ ბევრმა მიგრატმა ბანაკი ოპერაციამდე დატოვა და, შესაბამისად, არსებობს საშიშროება, რომ ისინი სხვა ადგილას ახალ ბანაკს შექმნიან.

ბანაკის ბევრი მცხოვრები, რომლებმაც თავშესაფარში ბოლო ღამე გაატარეს, ამბობენ, რომ თავისი მომავლის გამო ძალიან ღელავენ. "წარმოდგენა არ გვაქვს პოლიცია რას იზამს: დაგვაპატიმრებენ თუგაგვიშვებენ, მაგრამ ჩვენ უკვე შევეჩვიეთ აქაურობას, აქ ჩვენი სახლები და ჩვენი მეჩეთია," - ამბობს ის.

ბანაკის დახურვის მიზეზად საფრანგეთის ხელისუფლების განმარტებით ის ფაქტი იქცა, რომ "ჯუნგლი" ადამიანებით ვაჭრობის ნამდვილ ბაზად იქცა. "კონტრაბანდისტები ინგლისში მოსახვედრი ბილეთის სანაცვლოდ ხალხს დიდ ფულს ძალავენ," - აცხადებს ერიკ ბრესონი.

ბანაკის დახურვის ფაქტს გამოეხმაურა დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრიც, რომელმაც განაცხადა, რომ საფრანგეთის ხელისუფლების ამ ნაბიჯს მიესალმება. ალან ჯონსონის თქმით, ნამდვილმა დევნილებმა თავშესაფრის მიღების მიზნით განცხადებით იმ ქვეყნის ხელისუფლებას უნდა მიმართონ, რომლის მეშვეობითაც ევროზონაში მოხვდნენ.

"მიგრანტები, რომელთაც დახმარება არ ჭირდებათ, სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ," - აცხადებს ის. ევროკომისარი იურიდიულ საკითხებში ჟაკ ბარო საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს პრობლემის რაც შეიძლება მალე მოგვარებისა და ამ საკითხზე ერთობლივად მუშაობისკენ მოუწოდებს. საფრანგეთის ხელისუფლების ქმედებებზე კომენტარი გააკეთა და თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოთქვა გაეროს კომისარმა დევნილთა საკითხებში. "ბანაკის დახურვა მიგრაციის დაურეგულირებელ პრობლემას არ აგვარებს, ისევე როგორც ვერ აგვარებს იქ მყოფი ადამიანების პრობლემებს, რომელთა ნაწილსაც, შესაძლოა, დახმარება და დაცვა სჭირდება," - განაცხადა კომისარმა.

სტიქიურმა ბანაკებმა, სადაც ადამიანები უკიდურესად ანტისანიტარიულ პირობებში ცხვრობენ, საფნაგეთში გაჩენა 2002 წლიდან დიწყო, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ, სანგატში მდებარე წითელი ჯვრის ბანაკი დახურა.

*მარიკა იაშვილი*

## დიდი ბრიტანეთი წყალქვეშა ნავებს ამცირებს

"ბრიტანეთს სურს შეამციროს ბირთვული რაკეტების გადამტანი წყალქვეშა ნავების რაოდენობა" - აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ მილიბენდი. მისივე თქმით ამის შესახებ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი ოფიციალურად განაცხადებს გაეთიანებული ერების ასამბლეაზე.

"პრეზიდენტმა ობამამ ახალი ბიძგი მისცა ამ მიმართულებით მსიფლიოს. ბრიტანეთს კი სურს, რომ დაანახვოს ყველას რომ ის ამ პროცესების სრული მონაწილეა". მილიბენდი თვლის, რომ რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკებებში გაერთიანებული სამეფოც აშკარად უნდა ჩაერთოს და მოუწოდოს მსოფლიოს ერთად იზრუნონ მსოფლიო უსაფრთხოების დაცვაზე.

ბრიტანეთი ოთხი წყალქვეშა ნავიდან ერთს შეამცირებს და სამს დატოვებს, ამით საკმაო ფულსაც დაზოგავს.

## ინდოეთი მსოფლიო ბანკის დახმარებას იღებს

მსოფლიო ბანკმა დაამტკიცა 4,345 მილიარდი დოლარის კრედიტის გაცემა ინდოეთისთვის. 2 მილიარდი ამ თანხიდან საბანკო სექტორის განვითარებისთვის არის განკუთვნილი. ინდოეთმა მიმართა მსოფლიო ბანკს ფინანსური დახმარებისთვის რათა სტიმულირება მოეხდინა საკუთარი ეკონომიკისთვის და დაეძლია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. 22 სექტემბერს განხილვის შემდეგ მსოფლიო ბანკმა დააკმაყოფილა ინდოეთის და კიდევ 5 ქვეყნის განცხადება კრედიტი მისცეს: უნგრეთს - 1 მილიარდი, ლატვიას - 200 მილიონი, ნეპალი - 71,5 მილიონი და ვიეტნამი 65,2 მილიონი.

## ინდონეზიაში 300-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა

ინდონეზიმაში ყოველწლიურ რელიგიურ მსვლელობაში წელს 27 მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. შარშან ანალოგიური მსვლელობის დროს 548 ადამიანი დაიღუპა მასიურ ჭყლეტვაში. პოლიციის განცხადებით მათ წელს წინასწარი ზომები მიიღეს და 120,000 პოლიციის ოფიცერი მთავარ მარშუტებზე განალაგეს. მიუხედავად განსაკუთრებული ზომებისა 300 ადამიანი დაიღუპა მასობრივი გარბენის დროს. მსხვერპლის რიცხვი ზუსტად დადგენილი არ არის და ის ყოველდღიურად მატულობს. ინდონეზიის მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია და ანალოგიურ შემთხვევებს ყოველწლიურად აქვს ადგილი.

# ჰონდურასში პრეზიდენტს კომენდანტის საათით შეხვდნენ

პრეზიდენტ მანუელ სელაიას მოულოდნელად დაბრუნების შემდეგ, ჰონდურასის დროებითმა მთავრობამ, რომელიც ქვეყნის სათავეში იმყოფება ივნისის გადატრილების შემდეგ, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოიღო სადღეღამისო კომენდანტის საათი. დახურულია ყველა აეროპორტი, არმია და პოლიცია სრული მზადყოფნის რეჟიმშია გადაყვანილი. თავიდან, კომენდანტის საათი გამოცხადებული იყო მხოლოდ სამშაბათის დილის 6 საათამდე. შემდეგში იგი გაგრძელდა, რათა თავიდან აერიდებინათ ჩამოგდებული პრეზიდენტის მხარდამჭერი აქციები, რომელიც ორშაბათს ფარულად დაბრუნდა სამშობლოში და თავი შეაფარა ბრაზილიის საელჩოს ტეგუსიგალპაში.



*მანუელ სელაია*

ბრაზილიის საელჩოს შენობასთან შეიკრიბნენ მისი მომხრეები და კომენდანტის საათის მოქმედების მიუხედავად იქ რჩებიან. ტელევიზიით გამოსვლისას, დროებითი მთავრობის ხელმძღვანელმა რობერტო მიკელეტიმ ბრაზილიას ყოფილი პრეზიდენტის გადაცემა მოსთხოვა მის გასასამართლებლად. მისი სიტყვებით ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებაზე პასუხიმგებელი ბრაზილია იქნება.

სელაიამ "ბი-ბი-სი"-ს, ტელეფონით შეატყობინა, რომ ქვეყანაში მდინარეთა ხეობებისა და გაუვალი უღელტეხილების გავლით შეაღწია და ახლა განზრახული აქვს აწარმოოს დიალოგი მათთან, ვინც ის თანამდებობიდან გადააყენა.

მანუელ სელაის დაბრუნება აშკარად მოულოდნელი იყო მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის. პირველ საათებში მიკელეტი საერთოდ უარყოფდა ყოფილი პრეზიდენტის ქვეყანაში ყოფნის ფაქტს. სელაიას ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და გაეროს დახმარების იმედი აქვს. გადასახლების დროს მას მხარს უჭერდა ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა და შეერტებული შტატები. ამერიკის სახელმწიფო მდივანდმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ სელაის დაბრუნებამ არ უნდა გამოიწვიოს ძალადობა. მან ყოფილ პრეზიდენტსა და ჰონდურასის დე-ფაქტო მთავრობას დიალოგისაკენ მოუწოდა.

ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრი სელსუ ამორიმი იმედოვნებს, რომ ჩამოგდებული პრეზიდენტის სამშობლოში ყოფნა სელაიასა და დროებით მთავრობას მოლაპარაკებების ახალი ეტაპის დაწყების საშუალებას მისცემს.

თავისი მოკავშირის ჰონდურასში ყოფნის შესახებ ცნობა დაადასტურა აგრეთვე ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა. მან განაცხადა, რომ სელაიამ და მისმა თანმხლებმა ოთხმა ადამიანმა ორი დღე შემოვლითი გზებით იარეს ტეგუსიგალპამდე. "პრეზიდენტი ქვეყანაში დაბრუნდა მოლაპარაკების დასაწყებად." - განაცხადა ჩავესმა.

გვატემალას ლიდერმა ალვარო კოლომ აღნიშნა, რომ სელაიას დაბრუნება "ბოლოს მოუღებს ჰონდურასში პოლიტიკურ კრზისს".

ამჟამად ჰონდურასს მართავს დროებითი მთავრობა, რომელიც სელაიას დაპატიმრებით დაემუქრა ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში. ხელისუფლება ჰონდურსში შეიცვალა როდესაც სელაია (მემარცხენე პოლიტიკის მიმდევარი) რეფერენდუმის ჩატარებას შეეცადა ქვეყნის კონსტიტუციის შეცვლისა და მეორე ვადით პრეზიდენტად კენჭისყრის უფლების მოსაპოვებლად. გადატრიალებისა და ქვეყნიდან განდევნის შემდეგ იგი ნიკარაგუში ცხოვრობდა.

სამსაბათსვე გვიან საღამოს ჰონდურასის სამართალდამცავებმა დაშალეს ბრაზილიის საელჩოსთან შეკრებილი სელაიას მომხრეები. პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი. ბრაზილიის პრეზიდენტმა ლუიშ ინასიუ ლულა და სილვამ მხარეებს მოუწოდა არ დაძაბონ მდგომარეობა. ვენესუელის ტელევიზიამ სელაიას ინფორმაციაზე დაყრდნობით გადასცა, რომ დროებითმა მთავრობამ ბრაზილიის საელჩოს სასიცოცხლო უზრუნველყოფის სისტემები გაუთიშა. ეს ინფორმაცია ოფიციალურადაც დადასტურდა. ბრაზილიის ხელისუფლება თავისი დიპლომატების და სელაის ბედზე ღელავს, ჰონდურასის ხელისუფლებას მოუწოდა "სიმშვიდისაკენ" და გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე კონფლიქტის განხილვა მოითხოვა. ჰონდურასის ხელისუფლება სელაიასთან მოლაპარაკებებისთვის მზადაა მხოლოდ ერთი პირობით, ამ უკანასკნელმა უნდა აღიაროს ნოემბერში დანიშნული რიგგარეშე არჩევნების შედეგები. მიკელეტიმ ბრაზილიის ხელისუფლებას აღუთქვა, რომ საელჩოში ძალით არ შეიჭრებიან, მაგრამ მათ მოსთხოვა ან სელაიას პოლიტიკური თავშესაფარი მისცენ, ან ჰონდურასის მართლმსაჯულებას გადასცენ.

*მოამზადა თამთა კახაძემ*

# "ალ-ქაიდა" ისევ იმუქრება

თამთა კახაძე

11 სექტემბრის მერვე წლისთავზე "ალ-ქაიდამ" რამდენიმე ფორუმზე გამოაქვეყნა 106 წუთიანი ფილმი სახელწოდებით "დასავლეთი და ბნელი გვირაბი" . ცოტა ხნით ადრე აღნიშნული ორგანიზაცია სხვა ვიდეომიმართვით დაემუქრა გერმანიას და მოსთხოვა ჯარების გაყვანა ავღანეთიდან. როგორც წინა მიმართვაში, ასევე ამ ფილმშიც ჩანან ალ-კაიდას ლიდერები, მათ შორის აიმან ზავაჰირი, რომელიც ამ ორგანიზაციაში უსამა ბინ ლადენის შემდგომ მეორე კაცად ითვლება.

ფილმი ძირითადად ეხება შემდეგ საკითხებს: გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისს, ამერიკის პრეზიდენტად ობამას არჩევას, აშშ-ს საგარეო პოლიტიკას და ჯიჰადს. გარდა ამისა, ფილმში ნაჩვენებია ამერიკელი ჯარისკაცის წამების ამსახველი კადრები, რომელიც თალიბებმა 2009 წლის ივნისში გაიტაცეს.

"ალ-კაიდას" ვიდეო ჩანაწერის გავრცელების შემდეგ, სადაც ეს ორგანიზაცია გერმანიას თავდასხმით ემუქრება, გერმანიის უსაფრთხოების სამსახურები გაძლიერებულ მზადყოფნაზე არიან გადასულნი. "ალ-კაიდა" გერმანიას ავღანეთიდან ჯარების გაყვანას სთხოვს. ავღანეთში მსახურობს 4000 მეტი გერმანელი ჯარისკაცი. ისინი ძირითადად განლაგებულნი არიან ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც თავდასხმები ისეთი მასშტაბური არ არის, როგორც ეს ქვეყნის სამხრეთ რაიონებშია. თუმცა, გერმანული ჯარის დანაკარგი 35 კაცს შეადგენს და ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, მოსახლეობის 55 % მხარს უჭერს ავღანეთიდან ჯარების გაყვანას.

გერმანიის აეროპორტებსა და რკინიგზის სადგურებში გაძლიერებული პატრულირებაა. აღნიშნული ზომები გერმანიაში მიიღეს მას შემდეგ, რაც გერმანიის სადაზვერვო სამსახურმა ბოლო დღეებში ინტერნეტში გერმანულ ენაზე გავრცელებულ კლიპებში მუქარა რეალურად მიიჩნია. "დემოკრატიულ ქვეყნებში მხოლოდ მოსახლეობას შეუძლია აიძულოს თავისის არმია შინ დაბრუნდეს" - ნათქვამია ერთ-ერთ ვიდეოკლიპში. "თუ გერმანელი ხალხი გადაწყვეტს ომის გაგრძლებას, ის თვითონ გამოუტანს თავის თავს განაჩენს." "ალ-ქაიდას" უკანასკნელი ვიდეო გერმანულ ენაზე აფრთხილებს გერმანიას გარდაუვალ თავდასხმაზე არჩევნების შემდგომ 2 კვირის განმავლობაში, თუ Gიგი არ გაიყვანს ჯარებს.

უსაფრთხოების საკიხებში "ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტ ფრენკ გარდნერის აზრით, "ალქაიდას" ყოველთვის აინტერესებდა დასავლეთის საზოგადოების აზრი და მოხერხებულად თამაშობდა საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობებზე. შესაძლოა "ალ-ქაიდა" ცდლობს გაიმეოროს 5 წლის წინანადელი ესპანეთის არჩევნების სცენარი, როდესაც მატარაბლებზე აფეთქებების სერიის შედეგად 191 ადამიანი დაიღუპა. შედაგად ხოსე მარია ასნარის მთავრობამ, რომელმაც ერაყში ესპანელი ჯარისკაცები გაგზავნა, არჩევნები წააგო.

გერმანელმა პოლიტიკოსებმა მკაცრად დაგმეს "ალ-ქაიდას" მიერ ხალხზე გავლენის მოხდენის ეს მცდელობა. სარედაქციო სტატიებში გამასხარავებულია ორატორი, რომელიც ამ ვიდეოკლიპებში ფიგურირებს - 32 წლის მაროკოული წარმოშობის გერმანელი ბეკაია ხარაკი. ვიდეოში იგი მოუწესრიგებლადაა ჩაცმული, დაუდევრად აქვს შეკრული ჰალსტუხი და დაუვარცხნელი აქვს თმები. თუმცა მისმა შესახედაობამ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ხალხი. ხარაკი გერმანიაში სწავლობდა ლაზერულ ტექნოლოგიებს და ზოგიერთი მონაცემებით აქტიურად იღებდა მონაწილეებას ერაყში, მდ.იორდანეს დასალეთ სანაპიროსა და ვაზირისტანში წარმოებულ საომარ მოქმედებებში. ის შედის გერმანიის მოქალაქეთა იმ 100 კაციან სიაში, რომლებიც უსაფრთხოებას განსაკუთრებით უქმნიან საფრთხეს. ხელისფლება არ აპირებს მისი განცხადების იგნორირებას.

სხვათაშორის ტერორიზმთან დაკავშირებული გახმაურებული საქმის ძიება მიმდინარეობს შეერთებულ შტატებშიც. ორშაბათს ფედერლურმა სასამართლომ ბრუკლინსა და დენვერში დააკავა 24 წლის ნაჯიბულა ზაზი, მისი 53 წლის მამა მოჰამედ ვალი ზაზი და 37 წლის იმამი აჰმად ვაის აფზალი. მათ ბრალად ედებათ ფედერალური გამოძიებისათვის ცრუ ჩვენების მიცემა და ასევე ეჭვმიტანილები არიან აშშ-ში ტერაქტის მოწყობის მცდელობაში. უმცროსი ზაზი და აფზალი გადაიყვანეს ციხეში, ხოლო უფროსი ზაზი თავდებით იქნა გათავისუფლებული 50000 დოლარის გადახდის შემდეგ. სამივე კატეგორილად უარყოფს დანაშაულს.

გამოძიების ფედერალური ბიუროს ცნობით უმცროსმა ზაზიმ დაკითხვაზე აღიარა რომ პაკისტანში ბოლო ვიზიტის დროს იგი იმყოფებიდა "ალ-ქაიდას" საწრთვნელ ბანაკში, სადაც მას ასწავლიდნენ იარაღის ხმარებას და აფეთქების წესებს. მეორე მხრივ, როცა მას ჰკითხეს მის კომპიუტერში ნაპოვნი ტექსტის შესახებ, რაც სახელმძღვანელოა დამწყები ამფეთქებლებლებისთვის, მან უარყო და განაცხადა რომ ეს არის რელიგიური ტექსტი, რომელიც მან ინტერნეტიდან გადმოქაჩა. გამოძიების ფედერალური ბიურო ირწმუნება, რომ ინსტრუქცია ზაზის გაგზავნილი ჰქონდა საკუთარი ელექტრონული მისამართიდან და მას სიცრუეში ადანაშაულებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება. იუსტიციის მიისტრის მოადგილემ აღიარა, რომ სამართალდამცავი ორგანოები "ამ ეტაპზე არ ფლობენ ინფორმაციას, დაგეგმილი ტერქატის ადგილის ან ობიექტის შესახებ." Mმისი აზრით, საქმე ეხება აფეთქებას ამერიკის ტერიტორიაზე. დაპატიმრებულებს ჯერჯერობით ადანაშაულებენ მხოლოდ ფედერალური გამომძიებლების მოტყუებაში, რომელიც აშშ-ს კანონმდებლობით ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად და თითოეულს 8 წლიანი პატიმრობა ემუქრება.

# რევიუ

## დმანისის ახალი მუზეუმი, ანუ აღმოაჩინეთ თქვენში მეცნიერი

სოფო კილასონია



1991 წელს მსოფლიო მას-მედიის მსხვილი და წვრილი ორგანიზმები ერთდროულად განცვიფრდნენ და ერთხმად ალაპარაკდნენ, იმ მრავლისმთქმელსა და მრავლისმომცველ მოვლენაზე, რომელიც საბოლოოდ ერთ სიტყვაში გამთლიანდა ყველასთვის - დმანისი. თუმცა დმანისის ისტორია და დღე დიდი აღმოჩენისა პირდაპირ 91-ში ბუნებრივია, რომ არ დაწყებულა. არაერთი ცნობილი მეცნიერი და არქეოლოგი ნიადაგის ქანებივით, შრეებად დებდა საკუთარს - ენერგიას, წლებს, ინტელექტუალურ და ფიზიკურ უნარს. და ამ ქანებმაც დიდად არ დააგვიანეს - ერთ მშვენიერ დღეს გამოევლინათ მთავარი, ფაქტი იმისა, რომ სიცოცხლე ევრაზიაში სათავეს იმაზე შორიდან იღებდა, ვიდრე მანამდე წარმოდგვედგინდა და კიდევ ფაქტი იმისა, რომ როგორც ხშირათ უთქვამთ, ევროპის ცენტრი ამ ეტაპისთვის საქართველოს წიაღშია და არა სხვაგან.

დღეს დმანისის არქეოლოგიური გათხრების ისტორიას არ გიყვებით. მთავარი სათქმელი ისაა, ამ საღამოს შედგება დმანისის მუზეუმის პრეზენტაცია. მუზეუმი გათხრების ტერიტორიაზე გახდება ადგილი, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობას ერთის მხრივ დაიცავს და შეინახავს, მეორეს მხრივ კი საზოგადოებისთვის ღია სივრცეს შექმნის. სივრცეს სადაც ისტორია დღევანდელობასთან გახდება თანაზიარი. მუზეუმი დმანისში ფართო საზოგადოებისთვის 26 სექტემბრიდან გაიღება.

დმანისის საველე-არქეოლოგიური მუზეუმი საქართველოში პირველია, რომელიც უშუალოდ გათხრების ტერიტორიაზეა მოწყობილი. მუზეუმის არქიტექტურა მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური ფენების დაცვას, მეცნიერთათვის თანამედროვე სამუშაო პირობების შექმნასა და საზოგადოების ინფორმირებას ითვალისწინებს. პროექტის ავტორია ცნობილი ფრანგი არქიტექტორი ჟან ფრანსუა მილუ.

ზუსტად 18 წლის წინ 1991 წლის 24 სექტემბერს დმანისში აღმოჩნდა ჰომინიდის ნაშთი, რომელმაც მსოფლიო სამეცნიერო წრეებში გადატრიალება მოახდინა. ამ დროიდან დმანისის მეცნიერულ კვლევაში ახალი ეტაპი დაიწყო. დღეს ეს ძეგლი საერთაშორისო წრეებისათვის კარგად ცნობილია, როგორც 1,8 წლის წინანდელი ჰომინიდებისა და ცხოველების განამარხებული ნაშთების სიუხვით გამორჩეული ადგილი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში დმანისში ჰომინიდების 5 თავის ქალა და 4 ქვედაყბაა აღმოჩენილი. მსოფლიოს არც ერთ ძეგლზე ჰომინიდების ამდენი ნაშთი ერთ შრეში არ აღმოჩენილა. დმანისის ძეგლის კვლევების შედეგებმა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების დიდი გამოხმაურება გამოიწვია და სრულიად შეცვალა მანამდე დამკვიდრებული მოსაზრება ჰომინიდების აფრიკიდან ევრაზიაში განსახლების შესახებ. მუზეუმი არქეოლოგიური გათხრების უბანზეა გამართული, სადაც ერთდროულად სამივე ეპოქა: ქვის, ბრინჯაოს ხანისა და შუა საუკუნეების კულტურული ფენები თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი და ერთიმეორესთან მონაცვლეობს. მუზეუმში დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა იხილოს დმანისში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები, მათ შორისაა პირველი ევროპელების მზიასა და ზეზვას რეკონსტრუირებული მულაჟები.

როგორც აღმოჩნდა 24 სექტემბერი შემხთვევით არ შეურჩევიათ მუზეუმის საპრეზენტაციოდ. ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა, დავით ლორთქიფანიძემ აგვიხსნა, რომ სწორედ 1991 წლის 24 სექტემბერს აღმოჩნდა ქვედა ყბა, რომელმაც დმანისი და მთლიანად პალეოანთროპოლოგია ახალ ეპატზე გადაიყვანა. გამოდის რომ თარიღი სიმბოლურია.

**- რას წარმოადგენს ზოგადად ეს მუზეუმი?**

**- ეს არის ცდა იმისა, რომ ჩვენ არა მარტო დავიცვათ ძეგლი, არამედ ის მაქსიმალურად ახლოს მოვიტანოთ საზოგადოებამდე. აქამდე ძეგლი არ იყო სრულყოფილად დაცული. ჩვენ მისი დაცვის მექანიზმები შევქმენით. ამასთან, საგულისხმოა, რომ დაცვის სისტემა, ანუ გადახურვა არ არის ინდუსტრიული, ეს არის დიზაინისა და არქტიტექტურის ნაზავი, იმისთვის, რომ მან არ მოახდინოს უარყოფითი გავლენა ლანდშაპტზე, შუა საუკუნეების ფენაზე, დმანისის საერთო ესთეთიკაზე. ამიტომაც რთული პროცესი იყო. რაც მთავარია, პარალელურად, ამავე დამცავი მექანიზმების ფარგლებში ჩამოვაყალიბეთ მუზეუმი. მნახველებს უკვე აქვთ საშუალება შემოვიდნენ და ნახოს არა მხოლოდ მუზეუმი, არამედ უშუალოდ გათხრები.**

დმანისის გათხრების ტერიტორიაზე ამიერიდან ღიაა მუზეუმი ნებისმიერისთვის, ვისაც აინტერესებს ისტორია, არქეოლოგია. ვისაც იზიდავს ამბავი პირველი ევროპელების შესახებ. შეგვიძლია ვნახოთ ნახაზები, გათხრები (და არა გათხრების იმიტაცია) ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ შეგვიძლია გიდთან ერთად მოვიაროთ ტერიტორია და სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოთ. სპეციალურ საინფორმაციო დარბაზში ვნახოთ ვიდეო, ტექსტუალური მასალა და ერთი საათის შემდეგ უკვე გვექმნება სრული წარმოდგენა ძეგლზე და ამასთან ერთად მეთოდოლოგიაზეც. "როგორც სტადიონზე მივდივართ ფეხბურთის სანახავად, როგორც სანახაობისა, ასე უნდა ვნახოთ არქეოლოგიაც." - აღნიშნავს ბატონი დავითი, რომელსაც აშკარად აქვს სურვილი, რომ არქეოლოგიას და მეცნიერებას ზოგადად, იმ ხარისხის ინტერესით მიუდგეს საზოგადოება, როგორი ინტერესითაც სპორტის პოპულარულ სახეობებს:



- ამ პროექტის შედეგი გახდება ის, რომ ჩვენ ერთდროულად ვიცავთ ძეგლს და წარვუდგენთ საზოგადოებას. ეს ის მოდელია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი საქმისთვის. ძალიან მადლიერი ვარ ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის ევროპარტნიორების, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობდნენ. ამის გარდა, პროექტს თავიდან მხარს უჭერდა "როლექსი", შემდეგ კი კომპანია BP. რას ნიშნავს ეს?! ეს ნიშნავს იმას, რომ ეს არის სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობა. სნობიზმში თუ არ ჩამითვლით, უმაღლესი რანგის ბრენდებთან თანამშრომლობა. "ბიპიც" და "როლექსიც" არის მსოფლიოში აღიარებული რეპუტაციის მქონე კომპანიები. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ რაღაც დონეზე მათთან პარტნიორობას ამას ვიმსახურებთ. მაგრამ ეს ყველაფერი არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო სამეცნიერო აღიარება.

ანუ 1991 წელს, როდესაც აღმოჩნდა ქვედა ყბა, მან შეცვალა უკვე დამოკიდებულება ძეგლისადმი და შეცვალა ისტორიაც. მაგრამ დმანისს აქამდეც ჰქონდა ისტორია. არც ეს 1991 წელი არ შედგებოდა მანამდე რომ არ ყოფილიყო მთელი რიგი აღმოჩენებისა და განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოებისა: პირველი გათხრები, რომლებიც ლევან მუსხელიშვილმა დაიწყო 1936 წელს. შემდგომში 1960-იანი წლებიდან ბატონი ვახტანგ ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა შუა საუკუნეების გათხრებს და შემდგომში ეს პროცესი დიდი წარმატებით გააგრძელა ჯუმბერ კოპალიანმა. აღმოჩენა მომავალში გადაინაცვლებდა 1983 წელს ბატონ აბესალომ ვეკუას რომ არ აღმოეჩინა მარტორქის პირველი კბილი, რაც აჩვენებს თუ რა ძველია ფენა და 1984 წელს ნუგზარ მგელაძეს რომ არ განესაზღვრა პირველი ქვის იარაღები... შემდგომში იყო 1991 წლის სამეცნიერო ჯგუფის მუშაობა... რომ არ ყოფილიყო ეს თანმიმდევრობა, ანუ ტრადიცია, ძალიან გაგვიჭირდებოდა ამ მსოფლიო აღიარების მოპოვება. მაგრამ მე იმის თქმა მინდა, რომ თუ არ არის სფეროში ტრადიცია, ძალიან რთულია მისი განვითარება. მეცნიერებაში აუცილებელია ჯაჭვის შექმნა. ამიტომაც ინტერესი ადამიანში სულ პატარაობიდან უნდა გაღვივდეს. იმედი მაქვს, რომ ახალგაზრდები რომლებიც მოვლენ დმანისში, ნახავენ რა არის მეცნიერება. იმედი მაქვს, რომ ზოგიერთი მათგანი მომავალში გახდება მეცნიერი და ამაში წვლილს დმანისის მუზეუმი ახლა შეიტანს. ხოლო დანარჩენები გახდებიან სხვა სფეროში წარმატებული ადამიანები და მათი მხრიდანაც მეცნიერებას ექნება მეტი მხარდაჭერა.

**- დმანისი უკვე მსოფლიო ინტერესის სფეროა, სავარაუდოდ ის ტურისტებსაც იზიდავს და ეს მუზეუმი მათთვისაც უაღრესად საინტერესო იქნება...**

- ცხადია, ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც. საქართველოში გვაქვს არაერთი ადგილი, მართლაც მნიშვნელოვანი პოტენციით ტურიზმის განვითარებისთვის. მეცნიერებაში ასეთია თუნდაც დმანისი. მის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მედიაინტერესმა განსაზღვრა მისდამი ტურიზმის ინტერესიც...

როგორც წესი არქეოლოგიური გათხრები და მუზეუმი არის განცალკევებული. მეცნიერებს არ გვიყვარს, როცა ვინმე შემოდის იქ, სადაც ჩვენ ვმუშაობთ. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაში შევეცადეთ ბალანსი მოგვენახა. რათა ჩვეულებრივ ადამიანებსაც მისცემოდათ საშუალება ღია ეთერში ენახათ როგორ მუშაობს მეცნიერი. მნახველი, რომელიც მოვა ნახავს თუ რა არის და როგორია გათხრები. თავად დაესწრება პროცესს. ამის გარდა, ინფორმაციას მიიღებს გიდისგანაც. საინფორმაციო დარბაზში კი გაეცნობა ისტორიას.

■ ■ ■

როგორც უკვე ზემოთ აღნიშნა, დმანისი პროექტი ეროვნული მუზეუმის და BP-ის ხანგრძლივი პარტნიორობის შედეგია, რომელიც საუკეთესო მაგალითია კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციების თანამშრომლობისა.

**ნილ დანი, BP საქათველოს გენერალური მენეჯერი**: "უდიდესი კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ მიზანი მიღწეულია და დმანისის არქეოლოგიური ძეგლი თანდათან იმკვიდრებს კუთვნილ ადგილს მსოფლიოს განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის მქონე მუზეუმებს შორის. გარდა იმისა, რომ არტეფაქტების მეცნიერული ღირებულება სათანადოდ არის დაცული, დმანისის აღმოჩენის ისტორიული მნიშვნელობა აქ საინტერესო და ინტერაქტიული ფორმით არის წარმოჩენილი".

**აღსანიშნავია, რომ 27 სექტემბრიდან 7 ნოემბრის ჩათვლით საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრი სკოლის მოსწავლეებს სთავაზობს სპეციალურ საგანმანათლებლო ტურს, რომელიც გულისხმობს არქეოლოგიური გათხრების სივრცის, აღმოჩენებისა და ვიზუალური მასალის გაცნობას არქეოლოგების თანხლებით.**

# ნამდვილი ისტორიები კავკასიიდან

ია ვეკუა

ეს განსაკუთრებული წიგნია. მას არც კონკრეტული ავტორი ჰყავს და არც ჟანრია განსაზღვრული, ამბავიც ფრაგმენტებითაა გადმოცემული, პატარა ისტორიებით, რომლებიც ვერცხლის წლის წვეთებივით ერთმანეთისკენ მიიწევენ და ერთ მთლიანობას ქმნიან. ამ მთლიანობას ერთი გეოგრაფიული სახელი - კავკასია, ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი ურთიერთობები, ტრაგედიები, ტკივილი და მაინც ერთმანეთისადმი ლტოლვა ჰქვია. "გამოუგონებელი ისტორიები" კავკასიაში მცხოვრები ჩვეულებრივი ადამიანების პატარა ისტორიების, აუდიო დღიურების კრებულია.

კრებული ფონდ "ღია საზოგადოების" პროგრამა "კულტურა და საზოგადოების" მხარდაჭერით განხორციელებული პროექტია, თავად პროექტს კი ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია "შერიგების რესურსები" ახორციელებდა. ეს პროექტის მესამე წიგნია. პირველი წიგნი ქართველებისა და აფხაზების ისტორიებს აერთიანებდა, მეორე - კავკასიელი ქალების, მესამე წიგნში კი საქარველოს, მისი ორი რეგიონის - აფხაზეთისა და სამაჩაბლოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიანი ყარაბახის მოსახლეობის ისტორიები შევიდა.

პროექტის მომზადებაში ჩამოთვლილი ქვეყნებისა და რეგიონების ჟურნალისტები მონაწილეობდნენ, რომლებმაც ასობით აუდიო დღიური შეაგროვეს. იმისთვის, რომ ბუნებრიობა არ დარღვეულიყო და პროექტის მონაწილეს სრული შემოქმედებითი თავისუფლება ჰქონოდა, ჟურნალისტები მათ დიქტოფონთან პირისპირ ტოვებდნენ. რესპოდენტების შერჩევა კი სპონტანურად ხდებოდა. პროექტში ყველა ასაკის, სქესისა და სოციალური ფენის ადამიანები მონაწილეობდნენ. "ბოლო კრებულისთვის დაახლოებით 1600 ამბავი ჩავიწერეთ, თუმცა მხოლოდ მათი მცირე ნაწილი აღმოჩნდა პროექტისთვის საინტერესო. დიქტოფონსა და საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი ადამიანები პრაქტიკულად ყველაფრის შესახებ ღიად საუბრობდნენ: ომზე, სიკვდილზე, სიყვარულზე, ცხოვრების ინტიმურ დეტალებზე, მომავლის სურვილებსა და პირად საიდუმლოებებზე. მიღებული მასალისთვის თვალის გადავლების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ეს კავკასიის რეგიონის უკანასკნელი წლების ისტორიის ფურცლებია, იმ ისტორიის, რომლის შესახებაც ადრე არასდროს გვსმენია", - ამბობს იდეის ავტორი და პროექტის კოორდინატორი ლელა მარგიანი.

საგულისხმოა, რომ რესპოდენტთა ნაწილმა ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა - ალბათ უფრო საკუთარი უსაფრთხოების მიზნით ან სულაც




იმიტომ, რომ მათ მონათხრობში ბევრია პირადი ხასიათის ისტორია. ყველაზე საინტერესო ამბებს სწორედ ისინი გვიყვებიან, თუმცა ეს ამბები ყველაზე ემოციურიცაა: ახალგაზრდა აფხაზეთიდან დევნილი ქართველი გოგონა იხსენებს დევნილობაში გატარებულ დღეებს, გაჭირვებას, უსახსრობას და უცებ ამ ფონზე კიდევ ერთ საშინელ შემთხვევას გვიყვება - როგორ გააუპატიურა მასზე ბევრად უფროსმა მამაკაცმა. აქვე გოგონა იმასაც ამბობს, რომ ამ შემთხვევის შესახებ არავინ იცის თავად მისი და ამ დღიურის გარდა. ასევე ემოციურია აფხაზეთში მცხოვრები 36 წლის დავით სოტიევის დღიური, რომელიც დაუფარავად ყვება თავისი ძველი ცხოვრების შესახებ, როდესაც ნარკოტიკს მოიხმარდა. მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ მაინც შეძლო გადარჩენა - რწმენამ მას ყველანაირი სნეულება დააძლევინა.

პროექტის დირექტორი თამარ ბალავაძე აღნიშნავს,რომ რესპოდენტების დიალოგზე წამოყვანა საკმაოდ რთული იყო. ეს ალბათ უფრო მათი კავკასიელობის ბრალია - ამ რეგიონის მოსახლეობა სხვებისგან თავშეკავებულობითაც გამოირჩევა. "თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ყველაზე საინტერესო ისტორიას ყველაზე დახურული ცხოვრების მქონე რესპოდენტისგან ვიგებდით. მაგალითად საშუალო ასაკის აფხაზმა ქალმა თავის მარტოობაზე ძალიან ემოციურად ილაპარაკა. მისი მონათხრობიდან ჩანდა, რომ იგი დახმარებას, თანადგომას ითხოვდა", - იხსენებს თამარ ბალავაძე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კრებულის მოპოვება ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" ოფისში შეიძლება. მას რამდენიმე დღიურის აუდიო ჩანაწერის ახლავს, რაც ისტორიის ემოციური აღქმისთვის საუკეთესო საშუალებაა.

# The Resistance პირველია

## Muse-მ 92 წლის მომღერლის ალბომი ჩამოაქვეითა

ია ვეკუა

ბრიტანეთის ეროვნულ მუსიკალურ ჩარტს მეორე დღეა ახალი ლიდერი ჰყავს - Muse-ს The Resistance ჰიტ აღმლუმის პირველ ადგილზეა. ალბომს სულ რაღაც რვა დღე დასჭირდა იმისთვის, რომ ჩარტის საფეხურები გაევლო და სათავეში აღმოჩენილიყო. ეს რვა დღეც მხოლოდ იმისთვის იყო საჭირო, რომ სრულიად განსაკუთრებული ჟღერადობის მუსიკას მსმენელის გულის გავლით გონებამდე მიეღწია და უმაღლეს წერტილზე დაფიქსირებულიყო.

მელომანისთვის ალბათ არაფერია იმაზე სასიამოვნო, როდესაც მისი საყვარელი ჯგუფის ახალი ალბომი სწორედ ისეთი აღმოჩნდება, როგორსაც ელის, მეტიც ისეთი, როგორსაც ვერასდროს წარმოიდგენდა. "მიუზის" 2006 წლის შესანიშნავი ალბომის Black Holes and Revelations-ის გამოსვლის შემდეგ შეიქმნა შთაბეჭდილება თითქოს ჯგუფმა პიკს მიაღწია, საკუთარი თავი ამოწურა, ხოლო თანამედროვე მუსიკაში სამუდამოდ დატოვა ანაბეჭდი. თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს საბოლოო ანაბეჭდი არ იყო - სამი წლის შემდეგ "მიუზმა" ახალი ნაბიჯი გადადგა.

The Resistance-სადმი მსმენელის ოდნავ ზერელე დამოკიდებულება მის გამოსვლემდე რამდენიმე კვირით ადრე შეიქმნა - ჯგუფმა ახალი ნამუშევრის მეტად ორიგინალური სარეკლამო კამპანია წამოიწყო, რაც ცუდი ფილმის კარგად გაკეთებულ იმ ტრაილერს უფრო წააგავდა, რომელშიც ყველაზე კარგი ნაწყვეტებია თავმოყრილი და შთამბეჭდავი ტექსტიც ადევს. მუსიკოსებმა მსმენელი სათამაშოდ გამოიწვიეს - ალბომის მეოთხე და ყველაზე დიდი ქრონომეტრაჟის მქონე კომპოზიციის, United States Of Eurasia-ს ხუ-



თი მონაკვეთი ერთგვარ მოზაიკის ნატეხებად აქციეს და მთელ მსოფლიოში მიმოფანტეს. თამაშის მონაწილეებს ხუთ დიდ ქალაქში დამალული მეხსიერების ჩიპის ადგილმდებარეობა უნდა გამოეცნოთ, რომელზეც კომპოზიციის ხუთიდან ერთ-ერთი მონაკვეთის გამხსნელი კოდი იყო განთავსებული. ნელ-ნელა მოზაიკა შეიკრა და დაახლოებით ექვს წუთიანი თანამედროვე კლასიკური მუსიკის ელემენტებით გაჯერებული კომპოზიცია მივიღეთ. პირველი კრიტიკა მიიღო "მიუზმაც" - კომპოზიციაში აშკარად იკითხებოდა Quuen-ის მუსიკის ფრაზები, მთლიანი ალბომის მოსმენის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ მასში სხვა კონკრეტული ჯგუფების ხელწერისა თუ მუსიკალური ეპოქის ამოკითხვა შეიძლებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ "მიუზის" ახალი ალბომით სრულიად ახალი ლიანდაგზე გადავიდა. მასში თითქოს შენარჩუნებულია წინა ჩანაწერების ხასიათი, თუმცა ჟღერადობის მხრივ იმდენად განსხვავებულია, იმდენად არ ჯდება თანამედროვე მუსიკის ნორმებში, იმდენად თამამი და ექსპერიმენტალურია, რომ შეიძლება ითქვას, მისით ახალი ჟანრიც იქმნება. თუმცა როგორც ახლა ხდება ხოლმე, ძველის გავლენას ვერც "მიუზი" გაექცა. The Resistance-ში დევიდ ბოუის მუსიკის ფრაზებსაც წააწყდებით, Depeche Mode-ს, U2-ს და Duran Duran-საც. აქვეა ძველი ფილმების საუნდტრეკების ნაწყვეტებიც და კლასიკური ნაწარმოებების ახლებური გადამღერებაც.

ამ მხრივ საინტერესოა ალბომის ბოლო სამი ტრეკი, სამი პატარა სიმფონია, რომლებიც საერთო სახელწოდების, Exogenesis-ის ქვეშ ერთიანდება. "მიუზის" ლიდერს, მეტიუ ბელამის უყვარს კლასიკური მუსიკა, მაგრამ უფრო მეტად მათი გამოყენება მოსწონს. შედეგი კი როგორც წესი იდეალურია ხოლმე - კლასიკური მუსიკისგან სრულიად შორს მყოფი მსმენელი მას უპიროზოდ იღებს. ალბომს აგრესიული რიტმებით სავსე Uprising ხსნის, რომელიც მსოფლიოს თითქოს მოახლოვებული არმაგედონის შესახებ შეახსენებს, თუმცა იქვე იძლევა იმის მინიშნებასაც, რომ არსებობს Resistance - წინააღმდეგობა, მოძრაობა, რომელიც ვერავის მისცემს ადამიანების მართვის საშუალებას და რომ გამარჯვება კაცობრიობას დარჩება. მთლიანი ალბომის განწყობაც სწორედ ასეთია - რევოლუციური, ნონკონფორმისტული, განთავისუფლებული.

რაც შეეხება "მიუზის" დიდი ბრიტანეთის ეროვნული ჩარტის სათავეში მოხვედრას, ამისთვის გაგიკვირდებათ და 92 წლის მომღერლის ვერა ლინის საუკეთესო სიმღერების კრებულის გაწირვა გახდა საჭირო. ეს ქალბატონი სცენაზე ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს გამოჩნდა. იგი ბრიტანელი ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად გამართულ კონცერტებზე გამოდიოდა და მას შემდეგ ნამდვილ ვარსკვლავად იქცა. ვერა ლინმა სასცენო მოღვაწობა 90-იან წლებში ჯანმრთელობის გამო შეწყვიტა, მისი საუკეთესო ჰიტების ალბომი We'll Meet Again - The Very Best of Vera Lynn კი მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან 70 წლისთავს მიეძღვნა. როდესაც ლინის ალბომი ბრიტანეთის ჰიტ აღლუმის სათავეში მოექცა, ეს ფაქტი მაშინვე სენსაციად იქცა, მით უმეტეს, რომ აქამდე ამ ჩარტის ყველაზე ხანდაზმული ლიდერი მუსიკოსი ბობ დილანი იყო.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 4 ლოტად დაყოფილ ტენდერს უნი ფორმის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითონ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი, კონკრეტული შესყიდვის დასახელებით და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი №38, (შესყიდვების ორგანიზების ქ/განყოფილება), რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დუკუმენტაციის გატანა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 10:00 – 18:00 საათამდე ყოველ დღე 2009 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით, უქმი დღეების გარდა.

2. მისაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი:

| ლოტი № | შესყიდვის ობიექტი | განზ-ების ერთეული | რაოდენობა ან მოცულობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | შარვალი დათბუნული | ცალი | 2000 | ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №38. |
| 2 | ქურთუკი თბილი | ცალი | 2000 | |
| 3 | ქურთუკი თბილი გრძელი | ცალი | 2000 | |
| 4 | ქურთუკი საშემოდგომო | ცალი | 4500 | |

3. მიწოდების ვადები: მიწოდების ვადები შემოთავაზებული უნდა იყოს პრეტენდენტის მიერ, მიწოდების ვადები გათვალისწინებული იქნება შეფასების დროს.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად ერთი დალუქული კონვერტით (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 14 ოქტომბერს 15:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი №38. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. საკვალიფიკაციო მონაცემის კონვერტების გახსნა განხორციედება 2009 წლის 14 ოქტომბერს 15:00 საათზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

• **იურიდიული პირებისთვის:**

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ; (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)

დ) ცნობა სასამართლოდან, მასზედ რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
(მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)

• **ფიზიკური პირებისთვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)

გ) ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მოქმედების ვადა არა უმეტეს 20 სამუშაო დღისა)

• **როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის:**

ა) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ბ) საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად სავალდებულოა წარმოდგენილ იქნეს შემოთავაზებული სქონლის ნიმუშები

**შენიშვნა:** ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

8. სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.

9. პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

10. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

11. პრეტენდენტებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდეც, ზემოთ მითითებულ მისამართზე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი მაღლაკელიძე, ტელ: 41 87 13.

სატენდერო კომისია

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 24 სექტემბრიდან აცხადებს ტენდერს საბურავების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **საბურავების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **24 სექტემბრიდან** 2009 წლის **15 ოქტომბრის** ჩათვლით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება და განსაკუთრებული თავისებურება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | სატვირთო ავტოსაბურავი | | |
| | ავტოსაბურავი 215/75 R 17,5 (რ184 ან ანალოგი) | ცალი | 6 |
| | ავტოსაბურავი 215/75 R 17,5 (რ729 ან ანალოგი) | ცალი | 12 |
| | ავტოსაბურავი 205/55 R 16 | ცალი | 4 |
| | ავტოსაბურავი 185/75 R 16 | ცალი | 6 |
| | მსუბუქი ავტოსაბურავი | | |
| | ავტოსაბურავი 205/70 R 16 | ცალი | 4 |
| | სპეც. ავტოსაბურავი | | |
| | ავტოსაბურავი 12.00-18 | ცალი | 6 |
| | ავტოსაბურავი 12.00-20 320X508 R 20 M-93 | ცალი | 2 |
| | ავტოსაბურავი 225/70 R 15 c | ცალი | 4 |
| | ავტოსაბურავი 205/70 R 14 c | ცალი | 12 |
| | ავტოსაბურავი 215X90 R 15 (მაღალი გამავლობით) | ცალი | 4 |
| | ავტოსაბურავი 265/65 R 17 (ზამთრის) | ცალი | 8 |
| | ავტომტვირთავის საბურავი 8 x 15 x15 | ცალი | 2 |
| | ავტომტვირთავის საბურავი 6 x 00 x 9 | ცალი | 2 |

**შენიშვნა:** *საბურავები არ უნდა იყოს ექსპლოატაციაში ნამყოფი*

**3. მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP თბილისი;

**4. მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში;

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

*იურიდიული პირებისათვის :*

**1.** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,*რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე*;

**2.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე*;

**3.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

**ფიზიკური პირებისათვის :**

**1.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე*;

**2.** პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

**3.** ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

**4.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

**7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. (არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

# გვინდოდა უკეთესი, მივიღეთ უარესი

პირველი გვერდიდან

ვიღაც-ვიღაცებმა ქუჩებში ვაჭრობის აკრძალვა ეროვნული ღირსების შელახვად ჩათვალეს და თბილისობას დაუკავშირეს, უფრო სწორად, თბილისობას ჭიაბერაშვილის მერობის დროს. ასეთი დღესასწაული უნდა არსებობდეს თუ არა, ეს ცალკე თემაა, მაგრამ თუ საქართველოს დედაქალაქის დღეს აღნიშნავ, ხალხს აუცილებლად შამფურზე აგებული მწვადი უნდა შესთავაზო და არა - ჰამბურგერი, ჩაროზად კი ბლომანჟეს მაგიერ თათარაში ახლადამოვლებული ჩურჩხელა უნდა მიართვა. მაშინ ხელისუფლებამ უკან არ დაიხია და როგორც კი გარემოვაჭრეები ბაზარს დაუბრუნდნენ, ქალაქმა შვებით ამოისუნთქა. გაგვახსენდა, რომ ოდესღაც სურსათ-სანოვაგეს შიგ ბაზარში ვყიდულობდით. ეს ბაზარი ისევე ცუდი იყო, როგორც ყველაფერი ყოფითი საბჭოთა საქართველოში, მაგრამ იმაზე ბევრად უკეთესი გახლდათ, ვიდრე ქუჩაში სახელდახელოდ ჩახერგილ დახლებს შუა დაგროვილი ნაგავი. მერე ყველაფერი თავიდან დაიწყო და მსაზღვრელ-საზღვრული "თანამედროვე ბაზარი" ჩვენს დროში იმაზე მეტად ჭრის ყურს, ვიდრე ოდესმე უკანასკნელი წლების განმავლობაში. არადა, ასეთი ბაზრები და ბაზრობები არათუ აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც მრავლადაა. მაგალითად ბონში, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული ქვეყნის სანიმუშოდ მოვლილ ქალაქში, შაბათ-კვირას მთავარ მოედანზე ჩვენებური ბაზრობა იმართება. იყიდება ყველაფერი: ხილი, ბოსტნეული, თევზეული ... მაგრამ ეს ყველაფერი დღისით ხდება, საღამოს კი ძნელი წარმოსადგენია, რომ დაწკრიალებულ მოედანზე რამდენიმე საათის წინ დახლები იყო გაშლილი.

მერე გამოგვიცხადეს, რომ დეზერტირების ბაზრის ძელი შენობა დაინგრეოდა და მის ნაცვლად ახალი აშენდებოდა. ეს საზარელი რკინა-ბეტონის კონსტრუქცია დიდხანს ინგრეოდა და ბოლოს მაინც დაინგრა, მაგრამ მის მაგივრად ვერც ახალი ბაზარი ვიხილეთ და ვერც - თანამედროვე სავაჭრო ცენტრი. სამაგიეროდ, დღითი-დღე იზრდება გარემოვაჭრეების რიცხვი და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, მართლა დავიჯეროთ, რომ ქალაქში ბაზარი საერთოდ არ უნდა არსებობდეს.

ბაზარი, რასაკვირველია, უნდა გვქონდეს, თანაც ყველა უბანში, ოღონდ ისეთი არა, როგორიც დღესაა. დღეს რაც თბილისის ბაზრებში, ანუ შუა ქალაქში ხდება, მარტო იმიტომ კი არ არის საგანგაშო, რომ შეუმოწმებელ და უვარგის პროდუქტებს ვყიდულობთ, არამედ იმიტომაც, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს საჭმელ-სანოვაგის ნორმალურ პირობებში შეძენის მოთხოვნილება დაეკარგა. მეტყვიან, რომ გარე ვაჭრობა გაჭირვების ნიშანია. გეთანხმებით, ოღონდ ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ ეს კომპრომისი მათთვისაა დაშვებული, ვინც კონა მწვანილს სუპერმარკეტში 50 თეთრად ვერ ყიდულობს. მე ის გაჭირვება უფრო მადარდებს, რომელიც ატავიზმის სახით შემოგვრჩა კომუნისტური წარსულიდან. გნებავთ კორუფცია დავარქვათ მას, გნებავთ - არასწორი გათვლა.

■ ■ ■

მოდი, ცოტა ხნით ქუჩებში სახელდახელოდ გამართულ ბაზრობებს მოვეშვათ და ის ადგილები დავათვალიეროთ, სადაც ყოფილი სა-




კოლმეურნეო ბაზრები შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოების სტატუსით ისევ ბაზრებადაა დარეგისტრირრებული. მაგალითად, ნავთლუღში, მეტროსადგურ "სამგორის" მიმდებარე ტერიტორიაზე 7 ასეთი ბაზარია - შვიდივე ნახევრად ცარიელი თუ ნახევრად შევსებული (როგორც გაგიხარდებათ), იქვე, ბაზრისთვის განკუთვნილი შემოკავებული ადგილების გარეთ კი შვიდჯერ მეტი გარეთ ვაჭრობს. ეს შემოკავებული ტერიტორიები ძალიან შორსაა თანამედროვე სტანდარტებისგან, მაგრამ იქ, ავად თუ კარგად, პროდუქტი მოწმდება და წონაშიც ნაკლებად იტყუებიან. ანალოგიური მდგომარეობაა სხვაგანაც, მათ შორის ყოფილი დეზერტირების ბაზრის შემოკავებულ ტერიტორიებზეც. ისინიც ცარიელია და საჭიროების შემთხვევაში გარეთ მოვაჭრეების ნახევარზე მეტს ადვილად დაიტევს.

არ მიყვარს გაზეთი "ალია", რადგან იქ ხშირად გადაუმოწმებელი ინფორმაციები იბეჭდება "სანდო, მაგრამ კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით". მეტიც, ზოგჯერ ამა თუ იმ პიროვნების სახლიცა და გვარიცაა მითითებული, მაგრამ ასეთ ადამიანს სანთლითაც ვერ მოძებნი. მაგრამ დღეს მეც "ალიას" ჟურნალისტივით უნდა მოვიქცე. არა, გამოგონილ პერსონაჟებთან ინტერვიუს არ ჩავწერ, მაგრამ გეტყვით, რომ რასაც ახლა დავწერ, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მე, ჟურნალისტი, ვერ დავამტკიცებ. სამაგიეროდ, ადვილად დაამტკიცებენ ისინი, ვისაც მსგავსი ფაქტების გადამოწმებას კანონი ავალდებულებს. ლაპარაკია მყარ ტარიფებზე, რომელსაც გარე მოვაჭრეები ეგრეთ წოდებულ ამკრეფებს უხდიან. ვინ არიან ეს ამკრეფები, ესეც ადვილი დასადგენია. საკმარისია, მკაცრად გადანაწილებულ ტერიტორიაზე უცხო მოვაჭრე გამოჩნდეს, ამკრეფი თავზე დაადგება და ერთი დღის საფასურს, ანუ 5 ლარს გამოართმევს. ამას ემატება "ტაჩკის" 2 ლარი (ისე, ამ სიტყვას ქართულად *მაზიდა* რქმევია), ხოლო ვისაც პროდუქტი მიკროავტობუსით შემოაქვს და მანქანას ღამის სადგომზე აყენებს, ამ სერვისში მას დამატებით კიდევ 25-30 ლარის გადახდა მოუწევს. როგორც ჩანს, ავტოსადგომი, რომელიც ყოფილი დეზერტირების ბაზრის ერთ-ერთ ფლიგელში მდებარეობს, დღეს უკვე ლეგალურად მოქმედებს, რადგან შესაბამის ქვითრებს იძლევიან. ცოტა ხნის წინ აქ აკრეფილი ფულიც სადღაც ქრებოდა, ოღონდ არა უკვალოდ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში აქაურობის ყოფილი "მეპატრონე" ციხეში არ მოხვდებოდა.

რამდენი კაცი ვაჭრობს გარეთ იმავე დეზერტირის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ეს ისევე ძნელი დასადგენია, როგორც მომიტინგეების დათვლა იპოდრომზე, ვაკის პარკში თუ პარლამენტის წინ. ისევ პოლიტიკოსებს დავეკითხოთ. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ისე ოპოზიციურად განწყობილები ირწმუნებიან, რომ ერთ კვადრატულ მეტრზე 4 კაცი ეტევა. თუ ეს გათვლა სწორია, ადვილი დასადგენია, დაახლოებით რამდენი მოვაჭრე ეტევა თამარ მეფის გამზირიდან მეტროსადგურ "წერეთლამდე", სადაც გადაჭიმულია კიდეც ეს ყველაზე ცნობილი ბაზარი. მე, მაგალითად, მხოლოდ გაჩერებაზე "დინამოს" სტადიონთან 45 მოვაჭრე დავთვალე, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ დღეში 225 ლარი გადაიხადეს. ცხადია, ეს ფული ბიუჯეტში არ ხვდება, მაგრამ რაც ბიუჯეტში არ ხვდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას სახელმწიფო ვერ აკონტროლებს (სამწუხაროდ!).

■ ■ ■

რა მოხდება, თუ ეს ხალხი ბაზარში შევა და იქ გაყიდის პროდუქტს? 5 ლარს იქაც გადაიხდის ადგილში (ზოგან ადგილი 10 ლარიც ჯდება), რასაც ემატება პროდუქტის შემოწმების საფასური - საშუალოდ 10 თეთრი თითო კილოზე. პროდუქტის (ხორცი, ქათამი, თევზი, რძის ნაწარმი) შემოწმებისთვის გაღებული თანხა ზედმეტი ხარჯი იქნებოდა, რომ არა კიდევ ერთი აქაური წესი: საქმე ისაა, რომ ვინც გარეთ ვაჭრობს, მათი დიდი ნაწილი შიგნითაც იკავებს ადგილს და 5 ლარს ბაზრის დირექციასაც უხდის იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა, გარე ვაჭრობა აიკრძალა. ასე რომ, "გარეთაც" და "შიგნითაც" ბალანსი დაცულია: არც გარეთ მოითხოვენ ადგილში 5 ლარზე მეტს, მოვაჭრე რომ არ დაკარგონ და არც "შიგნით" დააწესებენ 5 ლარზე ნაკლებს, რადგან მოვაჭრემ ერთგანაც და მეორეგანაც თანაბარად უნდა გადაიხადოს წონასწორობის შესანარჩუნებლად. მოვაჭრეც არაფერს არ კარგავს, რადგან იცის, რომ იმ შემთხვევაში, თუ გარე ვაჭრობა მართლა აიკრძალება, მაშინ ის ოფიციალურად გადაიხდის იმ 10 ლარს, რასაც დღეს ხუთ-ხუთი ლარის სახით უხდის ერთი მხრივ ამკრეფს და მის უცნობ "ხაზეინს", მეორე მხრივ კი, ბაზრის დირექციას, დაბევებული ადგილის გამო.

სცადეთ და გარემოვაჭრეებს პროდუქტის ვარგისიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი მოსთხოვეთ. შეიძლება, გიჩვენონ კიდეც - ასე, ერთი თვის წინ გაცემული. ამ საბუთის მოპოვებაც ასევე მკაცრი ტარიფითაა განსაზღვრული (50 ლარი). არის საქონლის გვამური ხორცით ვაჭრობის შემთხვევები, მაგრამ იმის გამო, რომ გარეთ ყველაფერი შედარებით იაფია, ისინი, ვინც აქ ყიდულობენ პროდუქტს, მოწამლვის შემთხვევაში ჩივილითაც არსად ჩივიან. მოვაჭრეები, როგორც წესი, იქვე ჭამენ, სვამენ და საღამოს საათებში ფლირტის დროც რჩებათ. ღამესაც იქვე, აბასთუმნისა და თამარ მეფის ქუჩებზე მდებარე სახლებში ათევენ, სადაც ბინების გარკვეული ნაწილი იაფფასიან სასტუმროებადაა გადაკეთებული, სადაც ერთი საწოლი 10 ლარი ღირს.

არის ბაზრები, მაგალითად, საბურთალოს ბაზარი, სადაც შემოკავებული ტერიტორიის წინ ჯერჯერობით არვინ დგას და პროდუქტის ყიდვაც ნაკლებად სახიფათოა. მაგრამ აქ ყველაფერს ცეცხლი ეკიდება, რადგან ისედაც მიუდგომელი ბაზარი კონკურენციას ვერ უწევს მოზრდილ ტერიოტირებს შუა ქუჩებში. როგორც ჩანს, სურსათით გარეთ ვაჭრობა ისე გაგვიჯდა ძვალსა და რბილში, რომ მათ მინიმარკეტების მეპატრონეებმაც მიბაძეს და ხილბოსტნეული საკუთარი მაღაზიების წინ დააწყვეს. შესაბამისად, პროდუქტის ვარგისიანობა ამ შემთხვევაშიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და გამოცდილ დიასახლისსაც კი, რომელიც, ჩვეულებრივ, თვალის ერთი შევლებით ხვდება, ვარგა თუ არა, ვთქვათ, ხორცი, არანაირი გარანტია არა აქვს, რომ მაღაზიაში ნაყიდი საქონელი არ მოწამლავს.

■ ■ ■

განსაკუთრებით გაუსაძლისი გახდა მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიები, სადაც ხალხის ისედაც დიდი ნაკადი იყრის თავს. განსაკუთრებით მიმზიდველია მარჯანიშვილის მოედანი, სადაც სხვებთან ერთად ბოშებიც ვაჭრობენ, ოღონდ მოპარული საქონლით. იქვე დგანან პატრულის თანამშრომლები და მხოლოდ მაშინ აქტიურობენ, როცა ბოშები და კლიენტები ფასზე ვერა და ვერ თანხმდებიან. ეს ნივთები, რასაკვირველია, ნაქურდალი არ არის (აბა, ერთი მოდელის ყველა ზომის ფეხსაცმელი ან მაისური როგორ უნდა მოიპაროს კაცმა?!), მაგრამ ადამიანების გარკვეულ ნაწილს რეკლამის ეს ფორმა ხიბლავს: მოპარულია, ესე იგი, კარგია. და რადგან ყველაფერი კარგი მალევე საღდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მომცრო ტერიტორიაზე გაჩაღებული აღებმიცემობა ყველასთვის ერთნაირად ხელსაყრელია: მყიდველისთვის, გამყიდველისთვის და სახელმწიფოსთვის, რომელიც ამ ყველაფერზე თვალს მავანთა სასარგებლოდ ხუჭავს. ასე რომ არ იყოს, ამ ხალხით სპეკულაციას ოპოზიციური პარტიები ვერ შეძლებდნენ. ეს, მგონი, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანია, როცა ხელისუფლება და ოპოზცია შეხმატკბილებულად მოქმედებენ. ძნელი სათქმელია, გარე მოვაჭრეების რა ნაწილი იღებს მონაწილეობას საპროტესტო გამოსვლებში, მაგრამ ვინც მიტინგებზე დგას, მათ ემოციის გამოხატვა აშკარად არ უჭირთ. როგორც ამბობენ ("ალიას" სტილი აქაც დაცულია), სულ მცირე 4 წელი გარე მოვაჭრეებს ხელს არავინ ახლებს. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! რა თქმა უნდა, იცი - ამ ოთხ წელიწადში არჩევნები მოდის, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც კი დასაკარგი ხმები არა აქვს.

■ ■ ■

სალხინოში, ჩემს სოფელში, სადაც დადიანების საზაფხულო რეზიდენცია მდებარეობს, გასული საუკუნის დასაწყისში ბაზარი არ ჰქონიათ. როგორც ბებიაჩემი გვიყვებოდა, ხალხს დახლების გაშლა და ვაჭრობა ეთაკილებოდა და "ამ უკუდო ამპარტავნების" გამო შორს უწევდა წასვლა. ეს პრობლემა დადიანებისა და მიურატების შთამომავალმა, პრინცესა ანტუანეტამ (ბებემ) მარტივად გადაჭრა: ადგა ერთ მშვენიერ დღეს, უხეში ჩექმები ამოიცვა, კალთა აიკეცა, ხელები დაიკაპიწა და სოფლის მოედანზე ქათმების გაყიდვა დაიწყო. ბებეს, ბუნებრივია, სხვებმაც მიბაძეს და იქიდან მოყოლებული სოფელში ბაზრობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ეს ამბავი ხშირად მაგონდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბაზარში უცხოელებს შევნიშნავდი. კარგად მახსოვს, როგორი ენთუზიაზმით ვაჭრობდნენ ტურისტები კოლმეურნეობის მოედანზე, "სალდატსკი ბაზარში", სადაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ძალიან მოწესრიგებული ბაზარი გვქონდა. დღეს ვერც ერთ უცხოელს შუა ქუჩაში პროდუქტს ვერ აყიდინებ. სიმართლე გითხრათ, მათი დარდი არ მკლავს, მაგრამ ესეც ხომ საყურადრებო ფაქტია?

■ ■ ■

- რა ღირს ხორცი?
- ხუთი ლარი.
- არ დაუკლებ?
- გამაგიჟებს ეს ხალხი! მაღაზიაში 12 ლარი ღირს და ხუთის მიცემა არ გინდათ?

ასეთ დიალოგს უკვე ყველა ქუჩისა და პროსპექტის გადაკვეთაზე მოისმენთ, ასევე: მეტროებთან, საავადმყოფოებთან, მიწისქვეშა გადასასვლელებთან, სკოლებთან, ინსტიტუტებთან ...

გვინდოდა კი უკეთესი?

# სპორტი

## დაწინაურდა ზვიად სიჭინავა

### საარჩევნო სპრინტი ძალას იკრებს

მიხეილ აბაიშვილი



გოგიტა ბახაიძის ფოტო

აშკარა ხდება, რომ ბიზნესმენი ზვიად სიჭინავა წინასაარჩევნო რბოლაში დიდი უპირატესობით არის დაწინაურებული. გარდა იმისა, რომ ზუგდიდის "ბაიას" პრეზიდენტმა და ქართული ფეხბურთის ინფრასტრუქტურულ, გნებავთ, წმინდა სპორტულ განვითარებაში დიდი ფულის ჩამდებმა კაცმა ყველაზე ადრე გაამჟღავნა არჩევნებში მონაწილეობის სურვილი, ისეთი ხალხი დაიყენა გვერდით, რომელიც ქართულ საფეხბურთო სამყაროში კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ. ამის დასტურად ერთი გვარის დასახელებაც კმარა - ალექსანდრე ჩივაძე, ქართული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა, რომელსაც მსოფლიო ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ფიფასგან უმაღლესი ჯილდო - ლალის ორდენი აქვს მიღებული. ასეთი ჯილდო ძალზე ცნობილ ფეხბურთელებს აქვთ, ისეთებს, როგორებიც არიან ბეკენბაუერი და პლატინი. ჩივაძესთან ერთად შტაბის წევრები არიან ოთარ გაბელია და გია ფირცხალავა, რომლებსაც ასევე არ სჭირდებათ განსაკუთრებული წარდგენა. ისინი თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელები არიან და დღემდე აგრძელებენ წარმატებულ მოღვაწეობას ქართულ ფეხბურთში. ჩივაძე ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტია, გაბელია - იმ ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რომელმაც ორიოდე კვირის წინ ევროპისა და ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირში ჯგუფის გამოკვეთილი ფავორიტი - თურქეთი 4:0 დაამარცხა. რაც შეეხება გია ფირცხალავას, მან ბრაზილიაში მოღვაწე ქართველ მწვრთნელთან გოჩა ალადაშვილთან ერთად წამოიწყო პროექტი, რომლის წყალობით ქართულ ფეხბურთში პარტნიორად შემოვიდა ცნობილი სამხრეთამერიკული კლუბი "ატლეტიკო პარანაენსე". ამ კონტაქტების და "პარანაენსედან" ჩამოყვანილი ფეხბურთელების წყალობით რუსთავის "ოლიმპი" ჩემპიონობის მთავარი ფავორიტია, ახლაც ერთპიროვნულად ლიდერობს სატურნირო ცხრილს და ევროტურნირებში წარმატებით გამოსვლის პრეტენზიასაც აცხადებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზვიად სიჭინავა ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის თითქმის უცნობი, სულ ცოტა ხნის წინ აღმოჩენილი პიროვნებაა, მოკლე დროში ისეთი ნაბიჯები გადადგა, რომ დღითი დღე იკრებს პოპულარობას და ავტორიტეტს, რასაც საკუთარ შტაბში ასეთი გავლენიანი პიროვნებების არა მხოლოდ მიწვევა, არამედ თანამშრომლობაზე დაყოლიებაც ადასტურებს. ასეთი გუნდით არჩევნებში მისულ სიჭინავას ვერავინ ვერაფერს წამოაძახებს. შანსებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ეს თემა ქართულ სპორტში მომდევნო ათი დღის განმავლობაში უმთავრესი იქნება და 1 ოქტომბრის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო მეტ საინფორმაციო სივრცეს დაიკავებს.

გუშინ ზვიად სიჭინავა, საკუთარი შტაბის წევრებთან ერთად, ჯერ სამსაჯო კომიტეტის წევრებს შეხვდა, შემდეგ კი - საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კლუბების წარმომადგენლებს. ამ შეხვედრას მხოლოდ თბილისის "დინამოსა" და "ზესტაფონის" წარგზავნილები არ დასწრებიან. კლუბების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ გაირკვა, რომ ქართული გუნდების უმეტესობა სწორედ ზვიად სიჭინავას და მის გუნდს დაუჭერენ მხარს. მათ ეს პოზიცია არც კომენტარებში დაუმალავთ.

"ქართული ფეხბურთის მართვის სადავეებთან ბიზნესმენების მისვლას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები. მთავარი პრობლემა, რაც დღეს ჩვენს წინაშეა, ფინანსების დეფიციტია", - განაცხადა "ლოკომოტივის" პრეზიდენტმა ლექსო თოფურიამ.

"სიჭინავას პიროვნებაზე მის მიერ გაკეთებული საქმეები მეტყველებს. მან "ბაიას" თანამედროვე სპორტული ბაზა აუშენა. ასეთი საწვრთნელი ბაზები სხვა კლუბებსაც რომ გვქონდეს, ქართული ფეხბურთი წინ წაიწევდა", - თქვა რუსთავის "ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ ჯაფარიძემ.

ჭადრაკის სასახლეში გამართულ შეხვედრებამდე ორი საათით ადრე ზვიად სიჭინავამ ოფიციალური განცხადებით მიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ სამდივნოს და 1 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე პირველ კანდიდატად დარეგისტრირდა. მისი წარდგინება ფედერაციის სამმა სუბიექტმა - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ფედერაციამ, საფეხბურთო კლუბმა "ბაიამ" და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა მოახდინეს.

## დაგვიანებული წარმატება

როგორც იქნა, ტოკიოში მიმდინარე სექტემბრის ბაშოზე ორივე ქართველმა მოიგო. ასეთი წარმატება კი უკვე დაგვიანებულია, რადგან, გუშინდელი გამარჯვების მიუხედავად, ტოჩინოშინი რეიტინგში დაქვეითებას ვერ გადაურჩება, კოკაიმ კი ამ მოგებით ოდნავ გაიუმჯობესა მდგომარეობა და ინარჩუნებს ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულების შანსს.

გუშინ ორივე ქართველს შედარებით სუსტი მეტოქე ჰყავდა. კოკაი შეერკინა დასავლეთის მერვე მაეგაშირა შიმოტორუს, რომელსაც მანამდე შვიდი ბრძოლა ჰქონდა წაგებული, კოკაისთან მარცხის შემდეგ კი ბაშოს უარყოფითი ბალანსით დასრულება დაიბევა. კოკაიმ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. ახლა მის ანგარიშზე ხუთი მოგება და ექვსი მარცხია. ასე რომ, დარჩენილ ოთხ დღეში კოკაიმ სამი ბრძოლა რომ მოიგოს, რეიტინგში დაწინაურების შანსი აქვს.

რაც შეეხება ტოჩინოშინს, ის აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირა შოტონერუს დაეჭიდა და მეტოქე იორიკირის ილეთით დაამარცხა. ქართველისთვის ეს მესამე გამარჯვებაა სექტემბრის ბაშოზე, მისმა მეტოქემ კი მეათე მარცხი იწვნია.



კოკაიმ ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულების შანსს ინარჩუნებს

ბაშოს ერთპიროვნულად ლიდერობს იოკოძუნა ასოშორიუ, რომელმაც თერთმეტივე ბრძოლა მოიგო. მის მთავარ კონკურენტს, იოკოძუნა ჰაკუჰოს ერთი მარცხი აქვს.

დღეს ბაშოს მეთორმეტე საასპარეზო დღეა. კოკაი დასავლეთის მეთოთხმეტე მაეგაშირა ჰოკუტორიკის შეხვდება. ლევან ცაგურიას დღევანდელ მეტოქეს რვა ბრძოლა აქვს მოგებული და ბაშოს დადებითი ბალანსით დაასრულებს.

ტოჩინოშინის მეტოქეა აღმოსავლეთის სეკივაკე კისენოსატო, რომლისთვისაც დღევანდელ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს. კისენოსატოს თერთმეტიდან ხუთი ბრძოლა აქვს მოგებული და იმისთვის, რომ ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულოს, დარჩენილ დღეებში მხოლოდ ერთი წაფორხილების უფლება აქვს.

### ქეცბაია შესაძლოა "პაოკის" მწვრთნელი გახდეს

არც ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც უცნაურ ვითარებაში თანამდებობიდან დაითხოვეს ბერძნული კლუბის "ოლიმპიაკოსის" ქართველი მწვრთნელი თემურ ქეცბაია.

დაახლოებით ამავე პერიოდში თანამდებობა დატოვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და დაიწყო საუბარი, რომ სფფ-ს ახალი პრეზიდენტი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას თემურ ქეცბაიას მიანდობდა.

1 ოქტომბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ეყოლება, თუმცა, ამ დროისთვის შესაძლოა თემურ ქეცბაია უმუშევარი აღარ იყოს.

41 წლის ქართველი მწვრთნელი უქმად დიდხანს რომ არ დარჩებოდა, იმთავითვე ნათელი იყო. "ოლიმპიაკოსიდან" წასვლისთანავე მას "კლუჟის" მწვრთნელობა შესთავაზეს. გუშინ ბერძნულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი თემურს ეპატიჟება კიდევ ერთი ბერძნული გრანდი "პაოკი", რომელსაც ახლა რთული დღეები უდგას.

სალონიკის გუნდში ახალი მწვრთნელის მიწვევის იდეა საბერძნეთის 2009-2010 წლების ჩემპიონატში "პაოკის" არადამაჯერებელმა სტარტმა განაპირობა. კლუბმა სამი მატჩიდან ერთადერთში გაიმარჯვა და განვლილი ტურების შემდეგ უჩვეულო - მე-10 ადგილზე აღმოჩნდა.

ამის გამო პაოკელთა 54 წლის პორტუგალიელ მწვრთნელს ფერნანდო სანტუშს წყალი შეუდგა, არადა, გასულ სეზონში მის მიერ გაწვრთნილმა გუნდმა ჩემპიონატი მეორე პოზიციაზე დაასრულა.

"პაოკის" პრეზიდენტია წარსულში ცნობილი ბერძენი ფეხბურთელი, ევროპის ჩემპიონი თეოდოროს ზაგორაკისი. მან ახალი თავკაცის ძიება უკვე დაიწყო და წარმომადგენლები კვიპროსზეც მიავლინა, სადაც მათ ქეცბაიასთან გამართეს მოლაპარაკება.

### ყენიამ საგოლე პასებს უმატა

ლევან ყენიასა და ლევან კობიაშვილის "შალკემ" გერმანიის თასის მეორე რაუნდი დაძლია და მერვედფინალის საგზური მოიპოვა.

ამ ეტაპზე "შალკეს" მეტოქე იყო "ბოხუმი". გელზენკირხენელებმა თამაში 3:0 მოიგეს. პირველი გოლი სწორედ ლევან ყენიას გადაცემით გავიდა.

ქართველ ფეხბურთელთაგან "შალკეს" სასტარტო შემადგენლობაში ყენიამ იასპარეზა.

ლევანი ტრადიციულად აქტიური იყო და პირველი ტაიმის დამატებულ წუთებზე ხელით თამაშისთვის ყვითელი ბარათი მიიიღო.

მატჩის მე-60 წუთზე გელზენკირხენელთა მთავარმა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა ყენიას ნაცვლად მინდორზე ხორვატი ივან რაკიტიჩი შეიყვანა.

კობიაშვილი "შალკეს" განაცხადში არ ყოფილა.

ინგლისის "ქარლინგის თასის" გათამაშების მესამე რაუნდში ზურაბ ხიზანიშვილის ახალი კლუბი "ნიუკასლი" "პიტერბოროს" ესტუმრა და 0:2 წააგო. ქართველი მცველი "კაჭკაჭთა" განაცხადში არ იყო.

### ამაურის სამხრეთ აფრიკაში სურს

ტურინის "იუვენტუსის" ფორვარდი კარვალიო ამაური იტალიის მოქალაქეობის მიღებას ჯერ კიდევ უშედეგოდ ცდილობს. როგორც ჩანს, გადამწყვეტ მომენტში პრობლემები იჩენენ თავს. "სამხრეთ აფრიკაში გამგზავრების დიდი იმედი მაქვს. ნაკრების მოწვევის შემდეგ სიამაყით მოვირგებდი "სკუადრა აძურას" ფორმას. ბრაზილიას იტალია ვარჩიე, რადგან, როგორც ფეხბურთელი, სწორედ აქ ჩამოვყალიბდი," - აცხადებს ამაური.

როგორც ირკვევა, მოქალაქეობასთან დაკავშირებული პრობლემები უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს. ლიპიმ უკვე განაცხადა, რომ ეროვნულ ნაკრებს მისი კანდიდატურა გამოადგებოდა, მაგრამ დასაწყისისთვის პასპორტის აღებაა საჭირო: "ამაურის შესახებ მხოლოდ მაშინ ვისაუბრებ, როცა ის იტალიის მოქალაქე გახდება," - აცხადებს ლიპი.

### პელეგრინი იოვეტიჩმა გააოგნა

"ფიორენტინას" თავდამსხმელმა იოვეტიჩმა მანუელ პელეგრინის ქება დაიმსახურა. ჩილელი სპეციალისტი ამ ფეხბურთელს "ვილიარეალში" ყოფნისას აკვირდებოდა და ცოტა დააკლდა მის შესაძენად.

მანუელ პელეგრინი იშვიათად აფასებს ფეხბურთელებს, მაგრამ გამონაკლისი დაუშვა, როცა სთხოვეს შეეფასებინა "ფიორენტინას" 20 წლის ფეხბურთელი სტევან იოვეტიჩი.

"მე ვნახე იოვეტიჩის თამაში და აღფრთოვანებული დავრჩი," - აცხადებს ჩილელი მწვრთნელი.

პელეგრინი ამ ფეხბურთელს ჯერ კიდევ "ვილიარეალის" მწვრთნელობის დროს აკვირდებოდა და ძალიან უნდოდა მისი შეძენა. "რეალის" მწვრთნელი მიანიშნებს, გულით სურს ის თავის გუნდში იხილოს. "იოვეტიჩი სეზონის სიურპრიზი იქნება," - განაცხადა პელეგრინიმ.

ფლორენტინო პერესმა შეიძლება იფიქროს ამ ფეხბურთელის ტრანსფერზე მადრიდში.

## ქართველები ლიდერობენ

აზერბაიჯანის დედაქალაქში მიმდინარე ბაქოს 2009 წლის ღია პირველობაზე ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით ერთბაშად 35 მოჭადრაკე დაწინაურდა. მათ შორის 14 ქართველია. ესენი არიან დავით ბენიძე (2422), თამაზ გელაშვილი (2615), ლევან ფანცულაია (2600), კონსტანტინე შანავა (2525), დავით მაღალაშვილი (2481), მალხაზ სულაშვილი (2476), გაიოზ ნიგალიძე (2453), დავით ჯოჯუა (2531), მიხეილ კეკელიძე (2451), შოთა აზალაძე (2423), ივერი ჭიღლაძე (2420), თორნიკე სანიკიძე (2600), ნინო ხურციძე (2420) და ბაჩანა მორჩიაშვილი (2414).

1.5 ქულა მოაგროვა მაკა ფურცელაძემ (2380), ხოლო ბელა ხოტენაშვილის (2438), ალექსანდრა ვახანიასა (2182) და ლილე ცალუღელაშვილის (2086) აქტივში თითო ქულაა.

Baku Open 2009-ში, რომელიც 30 სექტემბრამდე გასტანს, 7 ქვეყნის (აზერბაიჯანი, საქართველო, ირანი, თურქეთი, აშშ, ისრაელი, რუსეთი) 153 წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას.

ტურნირის საპრიზო ფონდი 60 000 დოლარია. აქედან 10 000-ს ჩემპიონი მიიღებს. პრიზები დაწესებულია პირველ 30 ადგილზე გასული მოჭადრაკეებისთვის, რომელთა ვინაობა შვეიცარიული სისტემით გამართული 9 ტურის შემდეგ გაირკვევა.

რეიტინგ-სიით ტურნირის ფავორიტები არიან შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2721), გატა კამსკი (აშშ, 2692), გადირ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი, 2667), ილია სმირინი (ისრაელი, 2648), ბორის სავჩენკო (რუსეთი, 2638).

## ტერი ლეგიონერებს აკრიტიკებს

ლონდონის "ჩელსის" მცველი ჯონ ტერი მიიჩნევს, რომ ინგლისელი ფეხბურთელების სამართლიანი თამაში ხშირად მათ საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

"ხანდახან ჩვენ მეტისმეტად სამართლიანად ვთამაშობთ. შეხედეთ პრემიერლიგის მატჩებს: ინგლისელი ფეხბურთელები, თვით მას შემდეგაც კი, როდესაც მათ წაქცევას ცდილობენ, თამაშის გაგრძელებას ახერხებენ. ასეთია ჩვენი ფეხბურთი. ძალიან სამართლიანი ქვეყანა და ჩემპიონატი გვაქვს. მაგრამ ხანდახან ეს ჩვენს საწინააღმდეგოდ ტრიალდება.

უცხოელი მოთამაშეები კი პირიქით მოქმედებენ, მეტოქე ფეხბურთელთან მცირე კონტაქტის შემთხვევაშიც კი გაზონზე ვარდებიან. განსაკუთრებით ხშირად ეს მოწინააღმდეგის საჯარიმოში ხდება", - დასძენს ინგლისელი მცველი.

## ფიფამ საეჭვო ტრანსფერებზე დაიწყო მუშაობა

ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ფიფა უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში ყურადღებით შეისწავლის 15 საეჭვო ტრანსფერს, რომლებშიც ინგლისური კლუბები არიან გარეული.

საეჭვო ტრანსფერთა სია უკვე შედგენილია.

ამ ცოტა ხნის წინ ფიფამ ლონდონის "ჩელსი" "ლანსიდან" ნახევარმცველ გაელ კაკუტას ტრანსფერის განხორციელებისას დაშვებული სერიოზული დარღვევის გამო დასაჯა. "არისტოკრატებს" უახლოეს ორ სატრანსფერო პერიოდში ფეხბურთელების შეძენა და იჯარით გაშვებულ მოთამაშეთა ვადაზე ადრე დაბრუნება აუკრძალეს.

## გალიანის იმედი

იტალიური "მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი სეზონის სტარტზე დაკარგულ ქულებს დაიბრუნებს და სერია A-ს სატურნირო ცხრილში ლიდერთა შორის დამკვიდრდება.

"მიზანში გვაქვს თუ არა ამოღებული "სკუდეტო"? იმედი მაქვს, რომ მის მოგებას შევძლებთ. არ ვიცი, ეს გამოგვივა თუ არა, მაგრამ "მილანმა" აუცილებლად უნდა დაიკავოს ადგილი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ავტომატურად მოახვედრებს", - ავრცელებს გალიანის კომენტარს ინტერნეტ-გამოცემა virgilio.

"მილანმა" ბოლო ტურში "ბოლონია" დაამარცხა (1:0). 4 ტურის შემდეგ მოპოვებული 7 ქულით "როსონერი" გათამაშების ცხრილში მერვე ადგილზეა.

## რომარიოს დეპუტატობა მოუნდა

ბრაზილიის ნაკრებისა და "ბარსელონას" ყოფილი ფორვარდი რომარიო პოლიტიკური კარიერის დაწყებას აპირებს. ლეგენდარული ფეხბურთელი ბრაზილიის პარლამენტში იყრის კენჭს. რომარიო სოციალისტური პარტიის წევრი გახდა და ამ პარტიის სიით აპირებს პარლამენტში შესვლას.

## ეტო`ო ფულს ითხოვს

"ინტერის" კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტო`ო თავის ყოფილ კლუბ "ბარსელონას" 4.5 მილიონი დოლარის გადახდას სთხოვს. ეტო`ო "ინტერში" ზაფხულში გადავიდა. ის იყო იმ ტრანსფერის ნაწილი, რომლითაც "ბარსელონაში" ზლატან იბრაჰიმოვიჩი გადავიდა. "ბარსამ", იბრაჰიმოვიჩის სანაცვლოდ, 40 მილიონი ევრო და ეტო`ო გადაიხადა. ეტო`ო კი დაახლოებით 29 მილიონ დოლარად იყო შეფასებული. სწორედ ამ თანხის 15 პროცენტია 4.5 მილიონი დოლარი, რომელსაც კამერუნელი "ბარსელონასგან" ითხოვს. როგორც ირკვევა, თავის დროზე "ბარსელონასა" და ეტო`ოს შორის არსებულ კონტრაქტში იყო პუნქტი, რომლის თანახმად, ფეხბურთელის გაყიდვის შემთხვევაში კლუბი ეტო`ოს მიღებული თანხის 15 პროცენტს გადაუხდიდა.

"ბარსელონა" თანხის გადახდას არ აპირებს. კატალონიური კლუბის მესვეურთა თქმით, ასეთი პუნქტი მართლაც არსებობდა კონტრაქტში, თუმცა, ის ძალაში შედიოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეტო`ოს რომელიმე ესპანურ კლუბში გაყიდიდნენ.

# რუნიმ ოუენი გამოარჩია

უკვე ხუთი წელია, რაც უეინ რუნი "მანჩესტერ იუნაიტედის" ღირსებას იცავს. ის უკვე ჩამოყალიბდა მანკუნიანური გუნდის ლიდერად. მის გარეშე ალექს ფერგიუსონის რაზმი წარმოუდგენელია. სერ ალექსი შეელია კრიშტიანუ რონალდუს და კარლოს ტევესს, რუნი კი იმ ფეხბურთელთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც არ იყიდებიან. როგორც ჩანს, არც თავად რუნი აპირებს კლუბის შეცვლას. "მანჩესტერში" მას იგივე გზის გავლა სურს, რაც სქოულზმა და გიგზმა გაიარეს. მანკუნიანელთა ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა რუნის მცირე ინტერვიუ, რომელსაც ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ.


რუნი "ოლდ ტრაფორდის" დატოვებას არ ფიქრობს

**- სულ მალე ხუთი წელი შესრულდება, რაც "მანჩესტერის" ღირსებას იცავთ. არის თუ არა ის თქვენთვის ოცნების გუნდი?**

- ადვილი მისახვედრია, რისი თქმა გინდათ. მე არსად წასვლაზე არ ვოცნებობ. ყველა გულშემატკივარმა იცის, რომ მიყვარს ეს კლუბი. აქ ყველაფერი მაქვს - სახელიც და დიდებაც. სანამ გუნდს ვჭირდები, აქ ვითამაშებ.

**- წავიდნენ ტევესი და რონალდუ. ახლა რა ვითარებაა გუნდში?**

- რაც არ უნდა ვამტკიცო, მათი წასვლა არაფერს ნიშნავსმეთქი, ტყუილი იქნება. ყველა კარგად ხედავს, თუ როგორ დააკლდა კლუბს ფეხბურთელები. მიუხედავად ამისა, ჩვენ მუდამ მომავალზე ვფიქრობთ და გამარჯვებისთვის ვიბრძვით. ვისაც აქ არ უნდა, ესე იგი, აქ ყოფნის ღირსი არც არის. ჩვენ ახალი ფეხბურთელები შევიძინეთ და დარწმუნებული ვარ, მათ ჩვენთან დიდი მომავალი აქვთ.

**- რას ნიშნავს თქვენთვის "ოლდ ტრაფორდი"?**

- ყველაფერს. ის ყველა ოცნების ახდენაში დამეხმარა. "ოლდ ტრაფორდი" ჩემი სახლიდან 30 წუთის სავალზეა. ხშირად მომხდარა, რომ ვარჯიში არ გვქონია, მაგრამ სტადიონზე წავსულვარ და გამიხსენებია გადამწყვეტ მატჩებში გატანილი ჩემი გოლები.

**- "მანჩესტერის" გულშემატკვარი ზედმეტად მომთხოვნია, არა?**

- ყველა საშინაო თამაშზე აქ საოცარი ატმოსფეროა, არა აქვს მნიშვნელობა, რა სირთულის მატჩია. ისინი მუდამ, განუწყვეტლივ, მქუხარე ხმით გვგულშემატკივრობენ. ეს საოცარი გრძნობაა. გულშემატკივარი კი მომთხოვნი უნდა იყოს. ჩვენ ხომ სწორედ მათთვის ვთამაშობთ.

**- გუნდში მოსული ახალი ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?**

- ნიჭიერი ფეხბურთელები დაგვემატა. კლუბში ბევრი ახალგაზრდაა. ეს მომწონს. რაც შეეხება გამორჩეულ ფეხბურთელს, ცხადია, მაიკლ ოუენი. დიდი ხანია ვიცნობ. მას აქვს ყველაფერი - სისწრაფე, სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი და, რა თქმა უნდა, გოლის გატანის საოცარი ნიჭი. დარწმუნებული ვარ, აღიდგენს უწინდელ ფორმას და აქ ყველა შეიყვარებს.

**- და ბოლოს, როგორ ფიქრობ, რამდენად რეალურია წელსაც "მანჩესტერის" ტრიუმფების გამეორება, გინახავთ ფინალში "ბერნაბეუზე"?**

- ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მაქსიმუმს მივაღწიოთ. ვიბრძოლებთ როგორც შიდა ჩემპიონატში, ისე ლიგაზეც, მაგრამ ფინალზე ან ჩემპიონობაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა.

# რონალდინიო ფეხბურთიდან წასვლას არ აპირებს

ამ დღეებში იტალიური მედია ავრცელებდა ინფორმაციას, თითქოს რონალდინიო სეზონის ბოლოს ფეხბურთისთვის თავის დანებებას აპირებს. ჟურნალისტები ინფორმაციის წყაროდ ასახელებდნენ ფეხბურთელის მეგობარს, რომლის თქმით, "გაუჩოს" მოტივაცია აღარა აქვს ფეხბურთის სათამაშოდ. თუ რონალდინიოს სათამაშო ფორმას გავითვალისწინებთ და იმასაც დავუმატებთ, რომ ბოლო სამი სეზონია მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელს მოედანზე თითქმის არაფერი გაუკეთება, ზემოთქმულის დაჯერება ძნელი არ არის. ამას ისიც ემატება, რომ "მილანში" გადაბარგებულ ბრაზილიელს კრიტიკის მეტი არაფერი ესმის საკუთარი თავის შესახებ.


რონალდინიო მუნდიალს უმიზნებს

გუშინ სააგენტო "გოლმა" გაავრცელა რონალდინიოს ძმისა და აგენტის რობერტო ასისის კომენტარი, რომელშიც ნათქვამია, რომ დინიო ფეხბურთიდან წასვლაზე არ ფიქრობს.

"ჩემი ძმა ფეხბურთიდან წასვლაზე არ ფიქრობს. მეტიც, მას სურს დაიბრუნოს კუთვნილი ადგილი ბრაზილიის ნაკრებში და მუნდიალის ფინალურ ეტაპზე ითამაშოს. რაც შეეხება პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას რონალდინიოს შესახებ, ვფიქრობ, ზოგიერთს თავშეკავება მართებს. ჩემმა ძმამ ფეხბურთისთვის ბევრი გააკეთა და, სულ მცირე, პატივისცემას მაინც იმსახურებს", - აცხადებს რობერტო ასისი.

იქვე რონალდინიოს ძმამ "მილანთან" ურთიერთობასა და კონტრაქტის შესაძლო გაგრძელებაზე ისაუბრა.

"ამის შესახებ საუბარი ნაადრევია. პრესაში მხოლოდ ჭორები ვრცელდება. რაც შეეხება კონტრაქტს, ამაზე ჯერ კლუბთან არ გვისუბრია," - აცხადებს ასისი.

ბრიტანულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შესაძლოა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "მილანმა" რონალდინიო "მანჩესტერ სიტის" რობინიოში გაუცვალოს.

თავად რონალდინიო კარგა ხანს დუმდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მასაც მობეზრდა და ფეხბურთიდან მისი შესაძლო წასვლის თაობაზე ძმის შემდეგ თავადაც გააკეთა კომენტარი.

"მიუხედავად იმისა, თუ რა დაწერა გაზეთმა "სპორტმა" (სეზონის დასრულების შემდეგ რონალდინიო სწორედ ამ გაზეთმა გაუშვა ფეხბურთიდან), ფეხბურთიდან წასვლა არასდროს მიფიქრია. გავრცელებული ინფორმაცია ზერელეა და გამოქვეყნებულია ყვითელ გაზეთში, რომელიც სენსაციებზე ნადირობს და არც ტყუილს ერიდება. ფეხბურთი ჩემთვის იყო და რჩება ბედნიერების წყაროდ. მართალია, ახლა მთლად კარგად არ მიმდის საქმე, მაგრამ ვის არ ჰქონია კარიერაში რთული პერიოდი. "მილანში" თავს ბედნიერად ვგრძნობ. თამაში ისევე მანიჭებს სიხარულს, როგორც ადრე. ვიცი, რომ კრიტიკა აუცილებელია. ისიც მესმის, რომ კრიტიკას ვიმსახურებ, მაგრამ კრიტიკა დამყარებული უნდა იყოს რეალურ ფაქტებზე. ის კი, რაც დაიბეჭდა, სიცრუეა და რეალობას არ შეესაბამება", - ამბობს რონალდინიო.

# რონალდუმ წყნარი ცხოვრება დაიწყო

ესპანური, პორტუგალიური და ინგლისური ყვითელი პრესა კრიშტიანუ რონალდუს გარშემო ჭორებისა და სკანდალების ნაკლებობას განიცდის. რონალდუ "მანჩესტერიდან" "რეალში" გადასვლის შემდეგ, აშკარად გაცილებით მშვიდ ცხოვრებას ამჯობინებს და იმდენად ბევრს ფიქრობს საქმეზე, რომ გართობისა და დროსტარებისთვის ნაკლები დრო რჩება. პორტუგალიელის ასეთი პასიური ცხოვრების წესი განსაკუთრებით ინგლისში უკვირთ, სადაც პაპარაცების ობიექტივში რონალდუ კვირაში რამდენჯერმე ხვდებოდა.

ფეხბურთელის სახელმა ყვითელ პრესაში ბოლოს აგვისტოში გაიჟღერა. პაპარაცები კრიშტიანუსა და მისი ყოფილი მეგობარი გოგონას ნერაიდა გალიარდოს ურთიერთობამ დააინტერესა. მალიორკაზე ამ წყვილმა ნამდვილად კარგი "საკბილო" მისცეს ფოტოგრაფებს. გოგონა ყვირილით მიუვარდა ერთ-ერთ ღამის კლუბში ფეხბურთელის პირად დაცვას, რომელიც მას რონალდუსთან მიახლოვების საშუალებას არ აძლევდა. "მე მისი ყოფილი საყვარელი ვარ" - უყვიროდა გალიარდო დაცვას და ცდილობდა პორტუგალიელს მანქანაში ჩახტომოდა.

ახლა კი კრიშტიანუს სკანდალური ცხოვრების გადაღებით დაინტერესებულმა ფოტოგრაფებმა დროებით ტაიმ-აუტი აიღეს. რონალდუ საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მხოლოდ კლუბში კარგი თამაშის გამო მოხვდება. რაულთან, კაკასთან და "რეალის" სხვა ფეხბურთელებთან ერთად მას ბევრი აქვს ხელმძღვანელობისა და გულშემატკივრებისთვის დასამტკიცებელი.

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 24 სექტემბიდან აცხადებს ტენდერს სამუხრუჭე ხუნდის სარჭების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **სამუხრუჭე ხუნდის სარჭების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რევიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **24 სექტემბიდან** 2009 წლის **15 ოქტომრის** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** *შესყიდვის ობიექტი :*

| ლოტი № | საქონლის დასახელება და განსაკუთრებული თავისებურება | ერთ | რაოდ |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | სარჭი სამუხრუჭე ხუნდის 100.40.014-0 გოსტი 1203-75 (ან ანალოგი) | ცალი | 5 000 |

**3. მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP თბილისი;

**4. მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში;

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

*იურიდიული პირებისათვის :*

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება,რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

*ფიზიკური პირებისათვის :*

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება,რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე ;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

**7.** *ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :*

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წონადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;
3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 24 სექტემბიდან აცხადებს ტენდერს დინამიკურ-სტატიკური ელექტრონული სავაგონო სასწორის შეძენა-მონტაჟის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **დინამიკურ-სტატიკური ელექტრონული სავაგონო სასწორის შეძენა-მონტაჟის** შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რევიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

**სატენდერო დოკუმენტაცია** და **შესაბამისი ტექნიკური დავალება** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **24 სექტემბიდან** 2009 წლის **15 ოქტომრის** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** *შესყიდვის ობიექტი :*

| ლოტი № | საქონლის დასახელება და განსაკუთრებული თავისებურება | ერთ. | რაოდ |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | კომბინირებული ტიპის (დინამუკურ-სტატიკური) ელექტრონული სავაგონო სასწორის შეძენა - მონტაჟი. *(სასწორი არ უნდა იყოს ექსპუატაციაში ნამყოფი)* | ცალი | 1 |

**3. მონტაჟის ადგილი:** სადგურ ზესტაფონის სამგზავრო პარკის მე-4 ლიანდაგი, 2321 კმ-ის მე-4 პიკეტი;

**4. მოწოდება-მონტაჟის პერიოდი:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის განმავლობაში;

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

*იურიდიული პირებისათვის :*

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება,რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

*ფიზიკური პირებისათვის :*

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება,რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე ;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

*როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:*

